რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 7 სექტემბერი 1917 წ.

ერთობა

ფასი 12 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 2 მან. 60 კაპ., ორი თვით 5 მ. 20 კ., სამი თვით 7 მან. 80 კ., ოთხი თვით 10 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ., მეოთხე გვერდზე—15 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 6 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 141 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა. № 141

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში:

ერთი თვით—2 მან. 60 კაპ., ორი თვით—5 მან. 20 კაპ., სამი თვით—7 მან. 80 კაპ., ოთხი თვით—10 მან. 40 კაპ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კაპ. ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველი რიცხვიდან. ადრესის შეცვლა პროვინციელ ხელის მომწერთათვის 1 მანეთი.

გაზეთის ფასი ხელის მოწერის დროს წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: **Тифлисъ, почтовый ящикъ № 199., редакція „Эртоба".**

ტფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში" ოლღას ქუჩა, № 6.

იმ ხელის მომწერთ, რომელთაც ამ წლის მეორე ნახევრის ფული ძველ ფასობზე აქვს გამოგზავნილი, უმორჩილესად ვსთხოვთ შესაფერად შეავსონ თავიანთი ხელის მოსაწერი ფული ზემოხსენებულ ფასის მიხედვით.

კვირას, 10 სექტემბერს, სოფ. ნიღის ღვთის მშობლის ეკლესიაში, გარდაცვალებიდან წლის თავზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი დედის

მელინტი მამუკას ასული ბოლქვაძის

სულის მოსახსენებლათ.

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დამწუხრებულნი შვილები: გიორგი, თეოდოტი და ვალოდი ბოლქვაძეები და პიდანი ყაუდანის ასული ზენაიშვილი.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ნატალია ივანეს ასული, დედა სოფიო წყალობის ასული წილოსნები, დები და სიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ამხანაგებს უდროოთ გარდაცვალებულის მათთვის საყვარელი და დაუვიწყარის

იოსებ ეფრემის ძის წილოსნის

ექვსი თვის შესრულების გამო დანიშნულია წირვა და პანაშვიდი 8 სექტემბერს დილის 10 საათზე, ქუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

შეეწიეთ რევოლუციის საჭიროებისათვის ამხანაგებო მუშებო.

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებისა მოგიწოდებთ თქვენ რევოლუციის ნახევარ წლის აღსანიშნავათ გადასდოთ რევოლუციის საჭიროებისათვის **ნახევარი დღის ჯამაგირი.** ყოველი მუშა მოვალეა ამ საბედისწერო შავ დღეებში გამოეხმაუროს ამ გამოძახილს. ამხანაგებო, გახსოვდეთ, რომ რუსეთის რევოლუციის უძლიერესი ორგანოს გამაგრებით თქვენ დაიხსნით სამშობლოს და რევოლუციას კონტრ-რევოლუციისა და სამხედრო განადგურებისაგან.

მაშ მოაწყვეთ ფულის მოგროვება, შეეწიეთ, გადაიხადეთ ნამუშევრიდან. ნუ დააყოვნებთ, ამხანაგებო.

ფული და შემოწირულება გთხოვთ შემოიტანოთ ტფილისის მუშათა და ჯარის-კაცთა საბჭოს კასაში, სასახლეში.

2—1

მუშათა სექცია მ. და ჯ. დეპ. საბჭოსი.

ზუგდიდის სრულ-უფლებიან ორივე სქესის მოწაფეთათვის

გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო

ამით აცხადებს, რომ I, II, III და IV კლასებში მისაღები ეგზ. დანიშ. 11 სექტემბერს. მოსამზადებელ კლასებში თავისუფალი ვაკანსიები არ არის. სწავლა დაიწყება 20 სექტემბერს.

2—1

დირექტორის თან. ლ. მ. კობახიძე.

ხუთშაბათს 31 აგვისტოს

დაიკარგა

მთავარ სახელოსნოს კარებთან ცხვ. რასტოცში გამოკრული სხვა და სხვა დოკუმენტები ნინა ყაზარაშვილის და მისი გარდაცვალებულ ქმრის მიხა ყაზარაშვილის სახელზე. ვსთხოვ მპოვნელს აღნიშნული დოკუმენტები გამომიგზავნოს შემდეგი ადრესით: ყუბანის ქ. საკუთარი სახლი სპირიდონ ქავიძეს, გადასაცემად ნინა ყაზარაშვილზე, რისთვისაც შესაფერ გასამრჯელოს მიიღებს.

განცხადება

27 აგვისტოს, მატარებელში სადგურ რიონში ვიღაც კაცმა თავის ნივთებთან ერთად უცაბედათ გადაიტანა ჩემი ნივთებიც. იყო მოზრდილი კალათი ბაწრით შეკრული. შიგ იყო კაბები, ბლუზები, საქარგავი ძაფები, ნაქარგვები, ორი ქურთუკი და ბევრი სხვა. გადამტანს ვსთხოვ დამიბრუნოს, რისთვისაც მიიღებს ას მანეთს საჩუქარს.

მისამართი: ქუთაისი, საფიჩხია, ივანე ებრალიძეს ან და ლანჩხუთში მასწავლებელ პლატონ იმნაძეს.

ქუთაისში

ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე

იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდი პუშკინის ქუჩა, ციტუშინსკის სახლში.

ექიმები დ. ი. ჟორდანია და ა. ა. ერიციანი

იღებენ ავადმყოფებს შინაგან, ბავშვების, ავადმყოფობა სისხლისა, ქრონიკული მალარია, შარდის მილებისა (ქრონიკული ტრიპერი) სიფილისი და მისი შედეგები. წამლობა ერლიხის პრეპარატებით „914" და „616" შინაგანი ვენისა სქესობრივი სისუსტე და ელექტრონით წამლობა.

მიღება ყოველ დღე, გარდა კვირა დღისა საღამოს 5—8 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 52 ბინა 1. (10—5)

მედიცინის დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. დიდი სალინოიდი არსონვალის დენით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე, საღამოს 6—8-მდე. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი გ. მ. მუხაძე

ქობულეთში გამგზავრების გამო შესწყვიტა ავადმყოფების მიღება ენკენისთვის ბოლომდის.

ქ. ქუთაისში.

ექიმი გ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

კადეტები და კონტრ-რევოლუცია.

კადეტთა პარტია კარგა ხანია კონტრ-რევოლუციონერთა ბანაკში გადაბარგდა და ბნელი საქმეების მოწყობას შეუდგა. აქ მათ პარტიული „ლიბერალური" პროგრამა ვეღარას უშველის, მათი ნამოქმედარის სია შეცდომაში ვეღარავის შეიყვანს.

მსხვილმა ბურჟუაზიამ თავისი ისტორიული მისია კარგა ხანია შეასრულა და ახლა იგი მთელი თავისი მისწრაფებით, მთელი თავისი კლასობრივი მდგომარეობით ფართო მასის ინტერესების წინააღმდეგ გამოდის და ყოველგვარ ლიბერალურ მოთხოვნილებასაც კი უარყოფს.

მან რევოლუციის პირველ ხანაში დემოკრატიასთან ერთად ძველი წყობილების წინააღმდეგ ხმალი მოიქნია და მონარქიული წყობილების გაუქმება მოითხოვა. ყველა ბურჟუაზიულ რევოლუციის ხანაში განსაზღვრულ ეტაპამდის ბურჟუაზიული კლასი დემოკრატიასთან ერთად გამოდიოდა და მონარქის ბატონობას ებრძოდა, ამის მაგალითს ერთობ ბევრს იძლევა დასავლეთ ევროპის რევოლუციის ისტორია.

ბურჟუაზიას სახელმწიფოებრივი ბატონობა, სახელმწიფოს მართვა-გამგეობა თვითონ სწყუროდა, მას ეკონომიურ ბატონობასთან პოლიტიკური ბატონობაც უნდა და ამიტომ რევოლუციის ხანაში ძველი წყობილების წინააღმდეგ გამოდიოდა. ხოლო რადგან იგი საკუთარ ძალ-ღონით ვერ მოახერხებდა აბსოლუტური წყობილების დანგრევას—იძულებული ხდებოდა რევოლუციონურ დემოკრატიას დროებით დაკავშირებოდა, უკანასკნელთან ერთად განსაზღვრულ ხანამდის ევლო და ამ გზით თავისი კლასობრივი მიზნები გაეტარებინა.

ასე მოხდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს, ასე მოხდა გერმანიის 1848 წ. რევოლუციის ხანაში.

განსაკუთრებით ორპირული როლი ითამაშა ბურჟუაზიამ გერმანიის რევოლუციაში და იგი დემოკრატიას ისე, როგორც რუსეთში ადრე ჩამოშორდა.

კადეტთა პარტიის მეთაურობით რუსეთის ბურჟუაზია, ცენზიანი კლასები დიდი ხანია რევოლუციაზე კბილებს ილესავენ და საზოგადოებრივ კლასებს მის წინააღმდეგ აქეზებდნენ. მათ მისიათ დაისახეს ფართო მასის, რომელიც რევოლუციონურ კლასებსა და ცენზიან ბურჟუაზიასა და მემამულეთა შორის იმყოფებოდა, თავისაკენ გადაბირება; ისინი მუშათა და ჯარისკაცთა და საზოგადოთ რევოლუციონურ ორგანოების წინააღმდეგ სისტემატიურ აგიტაციას ეწეოდნენ. მათი ასეთი მოქმედება დღითი დღე ძლიერდებოდა, დღითი დღე აშკარა და ვერაგულ ხასიათს ღებულობდა. ორ—ერთი თვის წინათ ამ კლასთა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა დაიწყო, ერთიმეორეს უფლებებს ეცილებოდნენ.

რამდენათაც კი რევოლუციონური დემოკრატია რევოლუციის განმტკიცების ნიადაგზე მკვიდრდებოდა, რამდენათაც კი უკანასკნელი ფართო დემოკრატიულ მოთხოვნილებას აყენებდა, იმდენათ კადეტთა პარტია და საზოგადოთ რეაქციონური ელემენტები მარჯვნივ იხრებოდნენ და „ძლიერი ძალის" შექმნას მოითხოვდნენ. „ძლიერი ძალა" კი მაშინ დამყარდებოდა, როცა ეს კადეტთა პარტიის ხელში იქნებოდა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის პატრონი თვითონ შეიქნებოდნენ.

განსაკუთრებით გალიციის ფრონტის გარღვევის შემდეგ კადეტებმა მოუგერიდებელი კონტრ-რევოლუციონური აგიტაცია დაიწყეს და რევოლუციონურ კლასებს, რევოლუციონურ ორგანოებს და ჯარს აშკარა ომი გამოუცხადეს. მათ საშინაო და საგარეო პოლიტიკაში სრული ბატონობა მოინდომეს.

სხვანაირად არც შეიძლებოდა. ბურჟუაზიას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სრული ბატონობა უნდოდა და ამას კი რევოლუციონური დემოკრატია და მისი ავანგარდი პროლეტარიატი არ უთმობდა. პირ იქით რაც დრო გადიოდა ფართო დემოკრატია თავის პოლიტიკურ და ეკონომიურ მოთხოვნებს აყენებდა და მას ცხოვრებაში გატარებას მოითხოვდა.

უფსკრული გაითხარა, ერთი მეორეს გაშორდნენ.

ამ შემთხვევაში კორნილოვის ავანტიურა არ არის მარტო სამხედრო კასტის გამოსვლა, მათი უფლების აღდგენის სურვილი. გენერალ კორნილოვის შეთქმულება ბუნებრივი შედეგია კადეტთა პარტიისა ანუ სწორეთ რომ ვსთქვათ მსხვილი ცენზიანი ბურჟუაზიის და შავრაზმელების მოქმედებისა. მთელი ბურჟუაზიის პოლიტიკური „საერთო ნაციონალური პლატფორმა", რომლის მიზანი იყო „ძლიერი ძალის" შექმნა, მოითხოვდა რევოლუციონური დემოკრატიის განადგურებას და რევოლუციის მიერ მოპოვებული თავისუფლების გაუქმებას.

ბურჟუაზიის „ძლიერი ძალის" შექმნა კი საჭიროებდა მილიტარისტულ, სამხედრო ძალას, რომელიც მას საშუალებას მისცემდა თავისი ზრახვანი სისრულეში მოეყვანა. ამიტომაც ცენზიანმა ბურჟუაზიამ კადეტთა პარტიის მეოხებით ავანტიურისტ კორნილოვთან კავშირი გააკეთეს და დროებითი მთავრობისა და რევოლუციონური ორგანოების წინააღმდეგ შეთქმულობა მოაწყვეს. კორნილოვის ავანტიურის წინადღეებში კადეტთა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განსაკუთრებული კრება მოახდინა და შემდეგ დროებით მთავრობას წინადადება წაუყენა იგი გადამდგარიყო და მთელი ძალა კორნილოვისათვის გადაეცა.

მხოლოდ ამის შემდეგ იწყება გენერალ კორნილოვის აშკარა ავანტიურისტული გამოსვლა. მაგრამ მათი ასეთი შეთქმულობა რევოლუციონერმა დემოკრატიამ დასაწყისშივე ჩაახშო და „კორნილოვშჩინას" და მასთან ერთად კადეტთა პარტიის კონტრ-რევოლუციას ბოლო მოუღო.

ჩვენ არ ვიცით ამის შემდეგ კადეტთა პარტია და მასთან ერთად ცენზიანი კონტრ რევოლუციონური ბურჟუაზია რა გზას დაადგება, კვლავ შეეცდება კი ასეთ გამოსვლებს, თუ არა; მხოლოდ ეს კი აშკარაა, რომ კადეტები აშკარა კონტრ-რევოლუციონურ ლაგერში გადავიდნენ და მათთან ბრძოლა მედგარი და შეურიგებელი აუცილებელია. ახლა ბურჟუაზიულ კოალიციაზე ლაპარაკიც კი მეტია. რევოლუციონური დემოკრატიის წინააღმდეგ ცენზიანი ბურჟუაზია და შავრაზმელი მემამულეები დაირაზმნენ და ყველა რევოლუციონურ კლასების წინააღმდეგ ამხედრდნენ.

რუსეთის ბურჟუაზიის და კადეტების ნამოქმედარის სია, მისი ახლო წარსული შეცდომაში ვეღარავის შეიყვანს და მათ ამიერიდან დემოკრატია აღარასდროს ენდობა. მათი „ლიბერალური პროგრამა" უბრალო ქაღალდზე დაწერილი ბარათია და მას ნდობას ვერავინ გამოუცხადებს. ვერ გამოუცხადებს, ვინაიდან მათი პრაქტიკული ნაბიჯი კონტრ-რევოლუციონურია და მეტი არაფერი.

ამის შემდეგ მათ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში, დროებით მთავრობაში არავინ შეუშვებს. რევოლუციონური დემოკრატია ახლა მთელ ძალას ხელში იღებს და იგი ამას კონტრ-რევოლუციონურ ბურჟუაზიის წინააღმდეგ მედგარ იარაღათ გამოიყენებს, ძალა უფლების ხელში ჩაგდება კი მოითხოვს წმინდა დემოკრატიულ ელემენტების გამოცემას რევოლუციონურ დემოკრატიის მოთხოვნების დამკმაყოფილებას და ამ გზით სავსებით აღკვეთას იმ კლასის, იმ პოლიტიკური პარტიის მოქმედებისას, რომელიც მთელი თავისი მოქმედებით რევოლუციისა და რევოლუციონურ ხალხის პოლიტიკურ და ეკონომიურ მოთხოვნების წინააღმდეგია. აქ რყევა და მორიდება შეუძლებელია, დადგა დრო, როცა დემოკრატიამ რევოლუციის განმტკიცებისათვის გაბედული ნაბიჯები უნდა გადადგას და მოწინააღმდეგეები სასტიკათ დასაჯონ.

მამულების კონფისკაცია.

რუსეთის რევოლუციურ მთავრობას დღეს ერთი მთავარი მიზანი უძევს წინ—კონტრ-რევოლუციური—გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლა. კორნილოვის მილიტარისტული გამოლაშქრება რევოლუციონური პეტროგრადის წინააღმდეგ არ წარმოადგენს მხოლოდ სამხედრო ავანტიურას. იგი ღრმა სოციალური მოვლენაა, რომელსაც ფესვები მემამულეთა და ბურჟუაზიის კონტრ რევოლუციურ სულის კვეთებაში აქვს გადგმული. ამიტომ კორნილოვშჩინასთან ბრძოლა, გარდა ამის ხელმძღვანელთა გაწმენდისა რეაქციონური ელემენტებისაგან, თხოულობს სასტიკ და გადამჭრელ ზომების მიღებას თვით ამ რეაქციონურ კლასების წინააღმდეგ.

ერთი ასეთი ზომათაგანი უნდა იქნეს დაუყონებლივი კონფისკაცია მეფის გვარეულობის, საუფლისწულო და სხვა მამულების, აგრეთვე კონფისკაცია მსხვილ მემამულეთა მიწების. მსხვილ მემამულეთა კლასი მთავარი ბუდეა კონტრ-რევოლუციის და მოტრფიალე მეფობის აღდგენის.

მაშასადამე რესპუბლიკანურ რუსეთს ყველაზე მეტი საფრთხე ამ მხრიდან მოელის.

ეს კლასი მემამულეების რიცხვით მცირეა, ქონებით კი ძლიერი, სოციალურათ სრულიად უსარგებლო, მავნებელი, ხარცმეტი, ვინაიდან იგი მხოლოდ ფლანგავს საზოგადოების ქონებას და არაფერს არ მატებს. იგი მხოლოდ აფერხებს საწარმოო ძალთა განვითარებას, რადგან თავის იჯარით და შეუწყნარებელი საშუალებებს ჰპობს გლეხს, რომელიც მის მიწაზე მუშაობს, წარმოებაში გაუჯობესებელი წესები შემოაქვს. ამ რიგათ რეაქციონური პოლიტიკურათ, რეაქციონურია ეკონომიურათაც. მათი ჩამოშორება ნიშნავს ეკონომიურათ გზის გახსნას წარმოების წინსვლელობისათვის, პოლიტიკურათ კი ერის გაწმენდას რეაქციონურ სულისაგან. ქონებას მოკლებული მემამულენი უძლური შეიქნებიან რაიმე ავნონ ახალ წყობილებას.

მეორე მხრით ასეთ კონფისკაციის დაუყონებლივ მიღებას თხოულობს ინტერესები დემოკრატიის გაერთიანებისა და მათი სოლიდარობის განმტკიცების. ამ რევოლუციის დაწყებიდან გლეხკაცობა მხოლოდ დაპირებებით იკვებება. მას მიწა, ერთად ერთი სახსარი არსებობის, დღემდეც ხელში არ აქვს. იგი ისევ სხვისია და მხოლოდ დამფუძნებელ კრებას შეუძლია მისი მიწის წყურვილი დააკმაყოფილოს. დამფუძნებელი კრება კი პოლიტიკურ პირობების გამო ზედიზედ იდება ახალ-ახალ ვადისთვის. გლეხობა კი მხოლოდ დაპირების ამარა რჩება.

ასეთი მდგომარეობა კი არანორმალურია. გლეხობას უნდა მიეცეს სრული იმედი და საბუთი იმის, რომ მიწა მის ხელში გადავა. ასეთ საბუთს იძლევა მსხვილ მემამულეთა კონფისკაცია.

ცხადია, დამფუძნებელ კრებამდე ვერ გადაწყდება მუდმივი ფორმა ამ მიწებით სარგებლობის. მაგრამ დღესვე ეს ჩამორთმეული მიწა უნდა გამოცხადდეს ნაციონალურ ფონდათ, რომელიც ერობების ან სამიწო კომიტეტების განკარგულებაში იქნება დამფუძნებელ კრებამდე. და ეს უკანასკნელნი კი ამათ იმ სახით სოფლის ხალხს მისცემენ დასამუშავებლათ, კულტურულ ეკონომიებს კი სამაგალითო ეკონომიებათ აქცევენ.

ამნაირათ გლეხის იმედს ფრთა შეესხმება და იგი რევოლუციას მჭიდროთ დაუკავშირდება. რეაქციას ბუდე დაენგრევა და მთავარი ნიადაგი გამოეცლება. შეთქმულობათა განმეორება თითქმის შეუძლებელი გახდება. შეთქმულნი უძლურნი იქნებიან ვნება მიაყენონ რუსეთის დემოკრატიას.

დრ. მთავრობამ უკვე აღიარა რესპუბლიკა რუსეთში და ამით პირველი ნაბიჯი გადადგა. მან უნდა განახორციელოს მიწების კონფისკაციაც. ეს მეორე მორიგი ნაბიჯი იქნება.

სტოკჰოლმის კონფერენციის გარშემო.

დეპეშათა ცნობით სტოკჰოლმის კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტმა მანიფესტი გამოსცა, რომელშიაც იგი მოუწოდებს საფრანგეთის, იტალიის, დიდი ბრიტანიისა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების მუშათა კლასს, დაუყონებლივ მოაწვიონ სტოკჰოლმის სამშვიდობო კონფერენცია. სხვათა შორის მანიფესტში აღნიშნულია, რომ კონფერენციის იდეია პოპულარული ხდება, და იგი საერთაშორისო მუშათა კლასის შეგნებაში ფართო ადგილს იჭერს.

მანიფესტში საორგანიზაციო კომიტეტი აღტაცებას გამოსთქვამს რუსეთის ამხანაგების, მუშათა და გლეხკაცობისადმი და მათ რევოლუციის დაცვისაკენ მოუწოდებს.

გარდა ამისა მანიფესტში ინიციატორები იმედს გამოსთქვამენ, რომ გერმანიისა და ავსტრიის სოციალდემოკრატები თავიანთ პარტიულ მოვალეობას შეასრულებენ, გერმანიის მთავრობის წინააღმდეგ მედგრად გაილაშქრებენ, იმ მთავრობის, რომელიც თავისი მოქმედებით რუსეთში კონტრ-რევოლუციის გაძლიერებას ხელს უწყობს. დასასრულ მანიფესტში ნათქვამია საერთაშორისო მუშათა კლასს მიზნათ აქვს დასახული იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიიღოს, რომ იგი მომავალში შესაძლებელი აღარ გახდეს და მთელ ევროპაში მილიტარიზმი გააუქმოს და იქ დემოკრატიული წყობილება დაამყაროს.

დიახ, დროებით მიყუჩებული საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციის იდეია კვლავ მთელი თავისი სიძლიერით წარმოიშვა და მთელი ქვეყნის მუშათა კლასი იქითკენ მიისწრაფვის. დროებით შეჩერებული მუშათა სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის შესახებ კვლავ გაცხოველდა.

საერთაშორისო ომი.

ფრიდრიხშტადტის მიმართულებით ჩვენი ჯარები წინ მიიწევენ. საერთოთ რიგის მიდამოებში ბრძოლა მინელდა. შემოდგომის გამუდმებული წვიმები და საერთო უამინდობა ხელს უშლის ორივე მოპირდაპირეთ ბრძოლა აწარმოონ.

რუმინელები იგერიებენ მტრის მედგარ იერიშებს.

კავკასიის ფრონტზე ცვლილება არაა.

საფრანგეთში გერმანელები განაგრძობენ შეტევას, მაგრამ ფრანგ-ინგლისელთა ჯარები უმკლავდებიან გერმანელებს.

იტალიელები წინ მიიწევენ და ავსტრიელების ჯარებს აქა-იქ ამარცხებენ.

რუსეთის რევოლიუციონურმა დემოკრატიამ კორნილოვისა და ცენზიან ბურჟუაზიის კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლა ჩაახშო და რევოლიუციის ტალღებმა მაღლა აიწია. რუსეთის რევოლიუციონურ კლასების გამარჯვებამ და რევოლიუციის გაღრმავებამ მეომარ და ნეიტრალურ სახელმწიფოების მუშათა კლასში აღფრთოვანება გამოიწვია და მას საერთაშორისო პროლეტ. მედგრათ გამოეხმაურა. ახლა რუსეთის „წითელი მამლის“ ყივილს ევროპა ეხმაურება და სტოკჰოლმის მუშები ქუჩებზე გამოსულნი დემონსტრატიულათ აშკარათ მოითხოვენ საგარეო პოლიტიკის დემოკრატიისადმი დამორჩილებას, დღეს ევროპის და საზოგადოთ მთელი კულტურულ ქვეყნების მუშათა კლასი საერთაშორისო ომის წინააღმდეგ ორგანიზაციულათ გამოდის და მის შეჩერებას მოითხოვენ.

ეს საუკეთესო თავდები არსებულ, არაჩვეულებრივი ომის შეჩერების და დემოკრატიული ზავის ჩამოგდების. მთელი ქვეყნის ბურჟ. პოლიტიკამ თავისი წიაღიდან წარმოშობა ძლიერი მოწინააღმდეგე საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობა, რომელიც შეწყვეტს კულტურის განმანადგურებელ საერთაშორისო ომს და ჩამოაგდებს უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს ერთა თვით გამორკვევის პრინციპზე აგებულს. სწორეთ ასეთ საერთაშორისო ძალთა განწყობილების ხანაში რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატია მოვალეა ზავით დასახელებული ზავი მოითხოვოს და აუცილებლათ მედგრათ გამოეხმაუროს მთელ ინტერ-ნაციონალურ დემოკრატიას.

პრესა.

დრ. მთავრობის მიერ რესპუბლიკის გამოცხადებას დიდი სიხარულით შეხვდა მთელი რუსეთის დემოკრატია. იგი მას გააერთიანებს და მოპოვებულ უფლებების დასაცველათ უფრო მჭიდროთ დარაზმავს. აი ამაშია მთელი მისი ძალა და ნიშნეულობა. ამ მიზნით არ მოერიდა დრ. მთავრობა დამფუძნებელ კრების ზოგიერთ ფუნქციების მითვისებას. ჩვენ გვგონია, რომ არც სხვა უმთავრეს რეფორმების გატარებაში უნდა მოერიდოს.

მთელი რიგი რეფორმები გვიდევს წინ განსახორციელებლათ, რომელნიც დამფუძნებელ კრებამდევე უნდა იქნან ცხოვრებაში გატარებული, რადგან ამ უკანასკნელის მოწვევა გვიანდება. ამათ შორის რასაკვირველია ადგილი აქვს ერთა და მხარეთა უფლებების აღიარებასაც, რაც იმავე 8 ივლისის დეკლარაციაში იყო აღნიშნული. დროებითმა მთავრობამ ასეთი ნაბიჯიც უნდა გადადგას. ამით იგი ნიადაგს მოუმზადებს დამფუძნებელ კრებას.

მარა ასე არ ესმის ეს ნაციონალისტურ ჯგუფებს და პარტიებს. ფედერალისტების ორგანო „სახალხო საქმე“ ფიქრობს, რომ რაკი რესპუბლიკას აცხადებს მთავრობა მაშასადამე ყველა ერს საბაბი ეძლევა დამფუძნებელ კრებამდევე თვით განახორციელოს თავის უფლებები.

იგი სწერს:

„მოხდარი ცვლილება (რესპუბლიკის გამოცხადება. მეპრ.), უეჭველია, აიძულებს მრავალ პარტიებს და ერებს თავისი ტაქტიკა გადაშინჯონ და ახალ გარემოებას შეუფარდონ. დროა ერებმაც მიაქციონ ყურადღება თავიანთ უახლოეს საჭიროებებს და ეცადონ განახორციელონ თავისი უფლებანი“.

აშკარაა გაზეთს სურს დრ. მთავრობას მიბაძოს და ეროვნული უფლებების სეპარატიული განხორციელება იქადაგოს.

ჩვენ გვგონია, ასეთი დასკვნის გამოყვანა დრ. მთავრობის მოქმედებიდან შეუძლებელია.

დემოკრატიული რესპუბლიკა საერთო მოთხოვნილებაა ყველა ერის დემოკრატიის. მაშასადამე იგი შემაერთებელია. ფინლიანდიის და უკრაინელების გამოსვლა კი გამოყოფაა დემოკრატიის, იგი სეპარატიული გამოსვლაა. იგი ერთი ნაწილის ცალკე მოქმედებაა, და ხშირათ მთელი სახელმწიფოს ინტერესებს და მდგომარეობას ეწინააღმდეგება—რადგან ძალთა გათიშვას ემსახურება.

საერთოთ, ვიმეორებთ ეროვნებათა მდგომარეობის გადაჭრა და სათემო თვითმართველობათა შექმნა აუცილებელი თანახმათ 8 ივლისის დეკლარაციისა. ეს იქნება არა სეპარატიული მოთხოვნილება, არამედ საერთო სახელმწიფოებრივი დეცენტრალიზაციისთვის საფუძვლის დადება. ამით რევოლიუციური მთავრობა ეროვნებათა იჭვნეულობას დაამშვიდებს.

დროებით მთავრობის საშვალებით და რუსეთის დემოკრატიასთან სრული თანხმობით უნდა შედგეს ადგილობრივი ფართე თვითმართველობები, რომელნიც ამ შემთხვევაში რევოლიუციის მკვიდრ ბურჯათ გადაიქცევიან.

ბიულეტენი № 5.

კავკასიის დროებითი რევოლიუციონერი ცენტრალური კომიტეტისა.

6 სექტემბერი 1917 წ.

გავლილი დღე-ღამის განმავლობაში შესამჩნევი პოლიტიკური ცვლილება არ მომხდარა. პეტროგრადიდან ჯერ არ მისულა ცნობა დროებით მთავრობის საბოლოოდ შედგენის შესახებ. მოლაპარაკებაა გამართული კერენსკისა და დემოკრატიის მიერ ნდობით აღჭურვილ ორგანოებს შორის, რომლებიც მოითხოვენ დროებით მთავრობის შედგენას დემოკრატიული ელემენტების კოალიციისაგან. ამასთან ერთად, კერენსკის მოლაპარაკება აქვს ცენზიან ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან მთავრობის შედგენის შესახებ. საბოლოოდ საკითხი ჯერ არ არის გადაჭრილი.

დროებით რევოლიუციონურ კომიტეტს ამიერ კავკასიის საჭიროებათა შესახებ სხვადასხვა დელეგაციებმა მიმართეს.

აღსანიშნავია კავკასიის სამოსწავლო ოლქთან არსებული საბჭოს მიმართვა; საბჭო ითხოვს დახმარება აღმოუჩინონ მას კავკასიაში სკოლის ნაციონალიზაციის პროექტის განხორციელების საქმეში. დროებით რევოლიუციონურმა კომიტეტმა განიხილა რა ხსენებული შუამდგომლობა საგანგებო სხდომაზე ყოველის მხრივ, იცნო ის საჩქარო საქმეთ, რათა თავიდან აცილებულ იქნას მოსალოდნელი სრული არევ-დარევა საშკოლო საქმეში. ამიტომ კომიტეტმა დაადგინა დაუყოვნებლივ მიმართოს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს თხოვნით „დაჩქარებით გადასინჯოს და დაამტკიცოს სკოლების ნაციონალიზაციის პროექტი“. პროექტის განხილვის დროს საგანგებო კომიტეტში რევოლიუციონური კომიტეტის დელეგატი იქნება ამხ. ალ. ლომთათიძე.

დროებითი რევოლიუციონური კომიტეტი კავკასიის ყველა კუთხიდან იღებს დეპეშებს, სადაც გამოსთქვამენ: მზათ ვართ ვებრძოლოთ კონტრ-რევოლიუციას და მხარს ვუჭერთ დროებით მთავრობასო.

ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის რეორგანიზაციის შესახებ დროებით რევოლიუციონურმა კომიტეტმა დაადგინა:

1) საგანგებო კომიტეტში უნდა შედიოდნენ სოციალისტური და დემოკრატიული ელემენტები.

2) კომიტეტის შემადგენლობა უნდა დაამტკიცოს დროებით მთავრობამ.

3) დამოკიდებულება საგანგებო კომიტეტსა და კავკასიის ცენტრს შორის ასეთი იქნება: ნდობის პირობა კავკასიის ცენტრის მხრით საგანგებო კომიტეტისადმი, მართვა-გამგეობის სრული ძალა უფლება საგანგებო კომიტეტს.

4) საგანგებო კომიტეტი შვიდი კაცისაგან უნდა შესდგებოდეს.

5) კომიტეტის წევრებს ეყოლებათ სრულუფლებიანი თანაშემწენი.

6) საგანგებო კომიტეტის წევრნი შრომის ჯილდოს იღებენ სახელმწიფო ხაზინიდან.

არჩეულ იქნა სარედაქციო კომისია.

კონტრ-რევოლიუციონერების გამოსვლა

(გაზეთებიდან).

კადეტები და კორნილოვი.

როგორც „ნოვაია ჟიზნი“ სწერს, კორნილოვის მიერ მოთხოვნათა წამოყენების შემდეგ კადეტების ცენტრალურ კომიტეტს განუწყვეტელი სხდომა ჰქონდა მთელი ღამე. ამის შემდეგ მათ განუცხადეს კერენსკის, რომ სანამ თქვენ ხართ მთავრობის სათავეში შეუძლებელია სამოქალაქო ომის თავიდან აცილებაო. კორნილოვს დიდი ძალა აქვს და თავის მოთხოვნებშიაც შეურყეველია. რუსეთი რომ დაიხსნათ საშიშარ მდგომარეობიდან, კადეტები ურჩევდენ კერენსკის, რათა მას გაეუქმებია არსებული დროებით მთავრობა და მთელი ძალა უფლება გენერალ ალექსეევისთვის გადაეცა, რომელიც შეუთანხმდება რა გენერალ კორნილოვს, თავიდან აცილებდა ქვეყანას სისხლის ღვრას. კადეტების ასეთი წინადადება კერენსკიმ აცნობა სოციალისტ-მინისტრებს და მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭოთა პრეზიდიუმებს. მცირე თათბირის შემდეგ კადეტების მოღალატური წინადადება კერენსკიმ უარყო.

„დენი“ ეხება კორნილოვის გამოსვლას და შემდეგს სწერს: კორნილოვი ისეთი დამარცხებული გენერალია, როგორიც ბევრი სხვა ჩვენი გენერლები, რომელთაც ნამდვილ ომში (ნემცებთან) თავიანთი უნიჭობა და გაუნათლებლობა ქვეყანას დაანახვეს. მას ახლა ქუჩის ბრბოც გადაუდგა, კადეტებმაც პირი წყლით აივსეს. კადეტები შეწუხებულნი არიან კორნილოვის დამარცხებით, დაეძებენ დამნაშავეთ, ეს შეცდომები მათ შემდეგში გაკვეთილად გამოადგება. კადეტებს არ შეუძლიათ კორნილოვის გაკიცხვა, უკეთუ ისინი საკუთარ სინდისთან მწყრალად არ იქნებიან, პირიქით, კორნილოვი მათ თვალში ამის შემდეგ ტანჯული პიროვნება იქნება, რომელიც დაისაჯა კადეტების საქმისათვის.

„ველური დივიზია“.

ამ ჟამად გაზეთებში ბევრსა სწერენ იმ „ველური დივიზიის“ შესახებ, რომლის დახმარებითაც გენერალი კორნილოვი აპირებდა დროებით მთავრობის ჩამოგდებას. ამ დივიზიას შეადგენს ექვსი პოლკი: ინგუშთა, კაბარდინელთა, თათართა, ჩაჩნების, ჩერქეზების და მეორე დაღესტანის პოლკები. „დელო ნაროდა“-ში კაზბეკ ბუტაევი სწერს: მთიულს მონობა ვერ წარმოუდგენია. ის მუდამ თავისუფალია. თავისუფალია ის სულიერად და მაგარია მისი დისციპლინა, როგორც რკინა. თავისი 60 წლის ომით რუსეთის მთავრობის ჯარების წინააღმდეგ მთიულებმა დაამტკიცეს, თუ როგორ ეპყრობიან ისინი თავის უფლებას. ეს მათ დაამტკიცეს გუნიბის დაპყრობის დროს. მათ არ ისურვეს „რუსეთის ციხეში“ დარჩენა და მის ჟანდარმის „თეთრი“ მეფისადმი დამორჩილება და ოსმალეთში გადასახლდენ იმ იმედით, რომ სულთანის „უღელ ქვეშ“ მაჰმადის კურთხევას მიიღებდენ. მთიულები რევოლიუციის მხარეზე არიან, რევოლიუციის დამარცხება მათი თავისუფლების დასამარებაა. ყველა უბედურება იქიდან მომდინარეობს, რომ თავადები ბაგრატიონები, გაგარინები და სხვ. მთიულებს უბრძანებენ და არ ელაპარაკებიან, მთიულებს მათი რუსული ენა არ ესმით. ამიტომ დარჩენ მთიულები მოტყუებულნი. ჩვენ მივმართავთ რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიას: დაუახლოვდით ამ ხალხს და თქვენ დაინახავთ მათ გულუბრყვილობას, ნდობას. ნუ სდებთ მათ ბრალს „ველურობაში“, ეს ნიკოლოზ მეორის მტარვალებმა მონათლეს ისინი ასეთი სახელწოდებით, რაც მათ წმიდა გრძნობას შეურაცხყოფს. გაიცანით, ჩაიხედეთ მათ სულში და თქვენ დარწმუნდებით, რომ ისინი რევოლიუციის მხარეზე არიან, სხვა გზა მათ არ აქვთ. ისინი ამ ჟამად ცბიერობის ტყვენი არიან, ისინი დისციპლინის მსხვერპლი გახდენ. არასოდეს არ შეიძლება იმის წარმოდგენა, რომ მთიული თავისუფლების წინააღმდეგი იყოს, მაგრამ გააგებინეთ მათ ვის ხელშია ჭეშმარიტება, ვინ ავრცელებს სიყალბეს. სად არის თავისუფლება!

* * *

როცა დროებით მთავრობის სხდომაზე საკითხი დაისვა კორნილოვის შეთქმულობის ჩასაქრობათ ზომების მისაღებათ, კადეტებმა მაშინ განაცხადეს, რომ ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში დავრჩებით მთავრობის შემადგენლობაში, უკეთუ შეთქმულობის ჩასაქრობი ზომების გამომუშავების საქმეს კაბინეტის მთელი შემადგენლობა გადასწყვეტსო. ვინაიდან მთავრობის უმრავლესობა არ დაეთანხმა კადეტებს ამაში, ისინიც მთავრობიდან გავიდენ. კადეტების წასვლის ფორმალური მხარეა ეს მიზეზი, ნამდვილათ კი მიზეზი სხვაა—უკანასკნელ ხანებში ისეთ პოლიტიკას ეწეოდენ კადეტები, ისეთი სულიერი განწყობილების განმტკიცებას უწყობდენ ხელს, რომელსაც შეეძლო კორნილოვის გამოსვლისათვის ხელის შეწყობა. ამასთან ერთად, დამტკიცებულათ ჩაითვლება ზოგიერთი საზოგადო მოღვაწეების კავშირი შეთქმულობასთან. ამ პირებს კი კადეტების პარტიის წარმომადგენლებთან ახლო კავშირი აქვთ.

დეპეშები.

(პ. ტ. ს.)

4 სექტემბერი.

გენ. კალედინის დეპეშა.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ გენ. კალედინისაგან დეპეშა მიიღო, რომ მან ატამანის თანამდებობას თავი დაანება.

ვიბორგში თვით გასამართლების შედეგი.

ჰელსინგფორსი. ვიბორგის გაზეთ „ნაროდლი“ს ცნობით ვიბორგში მომხდარი თვით გასამართლების დროს მოუკლავთ 22 აფიცერი, უკვალოთ დაკარგულა 60. საქმის გამოსაძიებლათ შესდგა საგანგებო კომისია სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენლის მონაწილეობით.

აფიცრების დატუსაღება.

ჰელსინგფორსი. ტამმერფორსიდან მოსულ ცნობით იქ დაუტუსაღებიათ 25 აფიცერი.

ჯარისკაცთა რეზოლიუცია.

ნიჟნი ნოვგოროდი. დეპუტატთა საბჭოს ჯარისკაცთა სექციის აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოიტანა რეზოლიუცია, გაძევონ გარნიზონიდან ის აფიცრები და უფროსები, რომლებიც დემოკრატიულ და ჯარისკაცთა ორგანიზაციების წინააღმდეგნი არიან და მათ ადგილზე დანიშნონ რევოლიუციის ერთგული ჯარისკაცები და აფიცრები.

მთავარ ბანაკის შტაბის რეორგანიზაცია.

მინსკი. ცნობა მოვიდა, რომ მთავარ ბანაკში მოხდა შტაბის სრული რეორგანიზაცია, გამოსცვალეს ყველა უფროსები უმაღლესიდან უმდაბლესამდე. დღეს შტაბი სრულიად განახლებული მუშაობს.

სამხრეთ დასავლეთ ფრონტის შტაბში არეულობის შესახებ დაწვრილებითი ცნობა.

პეტროგრადი. 28 აგვისტოს წინა ღამით სამხრეთ დასავლეთ ფრონტის აღმასრულებელმა კომიტეტმა საშიში ცნობა მიიღო ცენტრში მდგომარეობის შესახებ, ფრონტის შტაბმა წინდაწინ იცოდა ყველაფერი და ზომები მიიღო გადაეყენებინათ მოღარაჯე ჯარისკაცები. შენიშნული იყო, რომ ყაზახებმა დაიპყრეს ქალაქიდან გასასვლელი ყველა გზები და ხელში ჩაიგდეს სადგურები. ეს საიდუმლო ცნობა ხელათ გავრცელდა. ჯარის ნაწილებმა კომიტეტს განუცხადეს მზათ ვართ აქტიურათ ვიმოქმედოთ. ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო ფრონტთან სრული თანხმობით მოქმედებდა. ფრონტის კომიტეტმა ძალა მოიკრიბა და შტაბის მოქმედება კონტროლს დაუმორჩილა. 28 აგვისტოს დილის სამ საათზე სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე მთელი ძალაუფლება აღმასრულებელმა კომიტეტმა ჩაიგდო ხელში.

ქალაქის საბჭოს დადგენილება.

პეტროგრადი. ქალაქის საბჭომ დიდი ხმის უმეტესობით წინააღმდეგ თექვსმეტისა დაადგინა იშუამდგომლოს სრულიად გაუქმებულ იქნას სიკვდილით დასჯა. ქალაქის თავის ამხანაგათ აირჩიეს ლუნაჩარსკი, არტემიევი და კრიკევი.

წითელი გვარდია.

მოსკოვი. დეპუტატთა საბჭოების გაერთიანებულ კრებაზე განიხილეს საკითხი მოსკოვში წითელი გვარდიის შედგენის შესახებ. კრებამ მიიღო კომისიის მიერ შემუშავებული წესდება სოციალისტურ პარტიებიდან. გვარდიის შტაბში აირჩიეს სამ სამი კაცი.

გაზეთების აზრი უკანასკნელ ამბების შესახებ.

კოპენჰაგენი. გაზეთები, აღნიშნავენ რა კორნილოვის აჯანყების სრულ ჩაფუშვას, ქებით იხსენიებენ კერენსკის, რომ მან თავის ენერგიულ მოქმედებით შესძლო რუსეთში ახალ წესწყობილების განმტკიცება.

ინგლისური გაზეთები რუსეთში რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ.

ლონდონი. რუსეთში რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ გაზეთი „ტაიმსი“ სწერს: „თუმცა რუსეთში რესპუბლიკის გამოცხადება დამფუძნებელ კრების შესაძლებელ გადაწყვეტილებას წინ უსწრო, მაგრამ მაინც სიამოვნებით ეგებება მოკავშირე სახელმწიფონი, რადგან ეხლა აშკარა იქნება რუსეთის წესწყობილების სახე და წინადებურათ გამოურკვეველ მდგომარეობასთან არ გვექნება საქმე. „მორნინგ პოსტი“ ამბობს, რომ რუსეთში რესპუბლიკის გამოცხადება უკანასკნელ ნაბიჯათ უნდა ჩაითვალოს რუსეთის ძირითადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ. „დეილი ნიუსი“ სწერს: „რუსეთში რესპუბლიკის გამოცხადება არის მხოლოდ ფორმალურად ცნობა იმის, რაც ნამდვილათ კარგა ხანია განხორციელდა, მაგრამ ამ ფაქტს ის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ თვითმპყრობელობის აღდგენის იმედი საბოლოოთ დაასამარა“.

პეტროგრადიდან ხალხის გასვლა.

პეტროგრადი. ამ უკანასკნელ ხანს განკარგულების გამო პეტროგრადიდან გასულა მხოლოდ 7.000 კაცი, რკინის გზის ბილეთები აუღია 11.000 კაცს.

სტოკჰოლმის კონფერენცია.

სტოკჰოლმი. სტოკჰოლმის კონფერენცია მოხდება, როგორც კი პასპორტების შესახებ საკითხი გადაწყდება. სტოკჰოლმის კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი თავის მანიფესტში მოუწოდებს საფრანგეთის, იტალიის, ინგლისის და შეერთებულ შტატების მუშებს ხელი შეუწყონ კონფერენციის ჩქარა მოწვევას და აღნიშნავენ, რომ კონფერენციის იდეია თან და თან ფეხს იკიდებს მუშათა მასაში. შემდეგ მანიფესტი აღტაცებით იხსენიებს რუსეთის ამხანაგებს, მუშებს და გლეხებს და მოუწოდებს მედგრათ დაიცვან რუსეთის რევოლიუცია. მანიფესტში იმედს აცხადებენ, რომ გერმანიის და ავსტრიის სოციალისტები შეასრულებენ პარტიულ ვალს და წინააღუდგებიან იმ განზრახვას, რომ გერმანია რუსეთის კონტრ-რევოლიუციონურ მოძრაობის მონაწილე გახდეს. დასასრულ მანიფესტი ამბობს, რომ კონფერენციამ უნდა შექმნას ახალი ხანა იმპერიალიზმთან ბრძოლისათვის, მუშათა კლასმა უნდა ბოლო მოუღოს შესაძლებელ მომავალ უთანხმოებას და ეკონომიურ ომებს და ცდილობს შექმნას დემოკრატიული ევროპა და ყველა საქმე სამედიატორო სასამართლოს მიერ უნდა ირჩეოდეს; ყველა ორგანიზაციულათ მოწყობილ პროლეტარიატის ლოზუნგი იქნება სტოკჰოლმი.

დრ. მთავრობის განცხადება.

პეტროგრადი. დრ. მთავრობისაგან ოფიციალურად. გენერალ კორნილოვის აჯანყების დღეებში ქალაქში, სოფლად და რკინის გზის სადგურებზე, როგორც მოქმედ ჯარში ისე ზურგის უკან შესდგა რევოლიუციის დამცველი კომიტეტები. ამ კომიტეტებმა შესძლეს აჯანყებულთა წინააღმდეგობის გაწევა და რევოლიუციის დაცვა და მით დიდი დახმარება გაუწიეს მთავრობას. დღეს, როცა აჯანყებულები დამორჩილდენ და დატუსაღებულნი არიან სამართალში მისაცემად, როცა წესიერება აღდგენილია, მთავრობის ორგანოები გამარჯვებული გამოვიდენ ამ კრიზისიდან, კომიტეტებმა ამით თავის მიზანს უკვე მიაღწიეს. აღნიშნავს რა მთავრობა ამ კომიტეტების დაუფასებელ ღვაწლს რევოლიუციის წინაშე, მოუწოდებს ყველა მოქალაქეთ დაუბრუნდენ თავიანთ ჩვეულებრივ საქმეს. აჯანყების მონაწილეთა პასუხის გებაში მიცემა მთელ რუსეთში მინდობილი აქვს კომპეტენტურ სასამართლო მთავრობას, რომელსაც უნდა გადაეცეს ყველა საქმე, რომელსაც ამ აჯანყებასთან კავშირი ექნება. თვითნებით მოქმედებას ადგილი აღარ ექნება და მის წინააღმდეგ მთავრობა ზომებს მიიღებს, როგორც რესპუბლიკისთვის მავნებლის. მხოლოდ წესიერი მოქმედებით და ყველა მოქალაქეთა და მთავრობის მოვალეობის განსაზღვრით შეიძლება რუსეთში რესპუბლიკანურ წესწყობილების განმტკიცება. მინისტრ თავმჯდომარე და უმაღლესი მთავარ-სარდალი ა. კერენსკი, 4 სექტემბერი 1917 წ.

დემონსტრაცია.

ადესა. დეპუტატთა საბჭოებმა რევოლიუციონურ ძალთა დემონსტრაცია მოახდინეს. რევოლიუციის მოედანზე კომისარ ხარიტოს, გენერალ მარქსის, აღმას. კომიტეტის და პარტიების წარმომადგენელთა თანადასწრებით. ყოველ მხრიდან წითელ დროშებით თავი მოიყარა მუშებმა და ჯარისკაცებმა. ლოზუნგათ წამოაყენეს: ნდობა დრ. მთავრობას, საბჭოებს და რევოლიუციონურ მთავრობას, ძირს სიკვდილით დასჯა, ძირს კორნილოვები, მთელი ძალა უფლება დემოკრატებს! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. დემონსტრაციის შემდეგ მოხდა მიტინგები.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. 5 სექტემბერი. ჩრდილოეთის ფრონტი რიგის მიმართულებით ცვლილება არაა. ფრიდრიხშტადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარების ნაწილებმა ბრძოლის შემდეგ ხელთ იგდეს ტყე და ერთი ტყვიისმფრქვეველი. დანარჩენ ფრონტზე სროლაა.

რუმინიის ფრონტი. მდ. სუშიტას მიდამოებში 4 ეკენისთვეს რუმინელებმა მტრის გამაგრებული ადგილები აიღეს. განცეშ-მერეშტის რაიონში მტერმა იერიში მოიტანა, მაგრამ უკუ აგდეს.

კავკასიის ფრონტზე ცვლილება არაა.

ლონდონი. მტრის იერიში ლომბარდზეიდის მიდამოებში მოიგერიეს. ჩვენმა მფრინავებმა მტრის ბანაკში 143 ყუმბარა ჩააგდეს. გერმანელების 2000 კაცისაგან შემდგარი რაზმი გაფანტეს.

რომი. გუშინ ჩვენი რაზმები წინ მიიწევდენ ბაინზიცის რაიონში. ტყვეთ ჩაგვივარდა 17 აფიცერი და 400 ჯარისკაცი.

ახალი ამბები

გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრმა დემოკრატიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირზე გასაგზავნათ არჩეულ დელეგატებს მისცა შემდეგი დირექტივები: დიდი მთავრების, მემამულეების, მონასტრებისა და საუფლისწულო უწყების ყველა დიდი მამულები უნდა გახდეს სახელმწიფოს საკუთრებათ. მიეცეს წინადადება დროებით მთავრობას იმოქმედოს ენერგიულათ მოკავშირე სახელმწიფოთა დიპლომატიაზე, რომ მალე გათავდეს ომი უანექსიო, უკონტრიბუციოთ, ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე დამყარებულ ზავით, ვინაიდან ეს საჭიროა რევოლიუციის მოპოვებათა შესანარჩუნებლათ. დელეგატებათ არჩეულია: ამხ. ნოე რამიშვილი, არ. ერზინკიანცი და ლ. გაჯინსკი; კანდიდატებათ—ს. ჯიბლაძე და გ. ყურაჯევი. თათბირზე გაგზავნილ წევრების მაგივრათ თავმჯდომარის ამხანაგებათ აირჩიეს ც. ცაბაძე, პ. გელეიშვილი და ვრაციანი, მდივნებათ—გ. ფაღავა და კალაშიანი.

◆ **მუშათა შორის.** „ჩვენ თფილისის თამბაქოს ფაბრიკის მუშები სამუშაოდან გაძევებულნი სხვადასხვა დროს პოლიტიკური მოტივებით და დღეს ამნისტიით განთავისუფლებულნი, ვინაიდან ცალკე პირების თხოვნას ისევ მიიღონ ისინი სამუშაოზე ფაბრიკის პატრონები არ აკმაყოფილებენ, შევიკრიბეთ პუშკინის ბიბლიოთეკის შენობაში და დავადგინეთ, რომ თავისი კლასიური ინტერესების დასაცველათ საჭიროა შევკავშირდეთ ერთ პროფესიონალურ ორგანიზაციაში, და შევკავშირებულებმა, სხვა პროფესიონალურ კავშირების და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს დახმარებით დავიცვათ ჩვენი ინტერესები და ყოფილი მუშები ისევ მივაღებინოთ სამუშაოზე. კრებამ აღიარა თავისთავი თამბაქოს ქარხნის უმუშევართა პროფესიონალურ კავშირის დამფუძნებელ კრებათ. აირჩია 7 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც მიენდო წესდების შემუშავება და ფაბრიკის პატრონებთან მოლაპარაკების გამართვა მუშების მიღების შესახებ და ყველა ჩვენი საქმეების წარმოება. თუ ყველა კულტურულ საშვალებებისათვის მიმართვის შემდეგაც არ დააკმაყოფილებენ ჩვენს მოთხოვნილებებს, მოვითხოვთ მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს მიერ ფაბრიკების ჩამორთმევას“.

◆ **პურის ფასი.** როგორც ვიცით, დრ. მთავრობის განკარგულების თანახმათ ქალაქის კომიტეტმა განიზრახა 5 სექტემბრიდან პურის ფასის ორჯერ გადიდება. ახლა, როგორც ირკვევა, პურის ფასი გადიდებულ იქნება მხოლოდ 8 სექტემბრიდან. ამნაირად ფასის გადიდების დაგვიანებით ქალაქს დღეში 30 ათასი მანეთი ზარალი ექნება.

◆ **საარჩევნო ფონდი.** დამფუძნებელი კრების ფონდის გასაძლიერებლათ შემოვიდა რ. ს. დ. მ. პ. ამიერ კავკასიის საოლქო კომ. კასაში კარაკლისის ორგანიზაციიდან 670 მან. 75 კ.

◆ **ყველის და ერბოს შესყიდვა.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა ე. მიქელაძე გაგზავნა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში ყველის, ერბოს და ლობიოს შესასყიდლად. ბორჩალოს მაზრაში გაგზავნა ბარათოვი ქართოფილის და ლობიოს შესასყიდათ.

◆ **ნიხრი.** 2 სექტემბერს საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა დაამტკიცა ნიხრი, რომლის ძალით ნავთი უნდა გაიყიდოს 11 კ. გირვანქა, ერბო—3 მ. 20 კ. გირ.; ყარაქი—3 მ. გ.; ყველი შვეიცარული, გოლანდიის, თუშური, „მოთალი"—1 მ. 60 კ., 1 მ. 50 კ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ.

◆ **პურის კრიზისი.** სიღნაღში დაიწყო პურის კრიზისი. მცხოვრებლებს დაურიგეს პურის ბარათები. თითო სულს მიეცემა 1 გირვანქა პური დღეში. ფქვილის შემოტანა შეჩერდა, მოსალოდნელია შიმშილობა. ამის გამო თფილისში ჩამოვიდა სიღნაღის ქალაქის სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე ი. კრაწაშვილი, რომელიც სთხოვს საგუბერნიო კომიტეტს დახმარებას.

◆ **თფილისის ხაზეულო კულტურულ-ტეხნიკურ სასწავლებელში** მეცადინეობა დაიწყო.

◆ **კერძო გიმნაზია** უფლებებით გაიხსნა მე-4 პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებელთან.

◆ **სურსათი.** ხუთ და ექვს სექტემბერს თფილისში შემოიტანეს რვა ვაგონი ფქვილი, ოთხი ვაგონი ფხვნილი შაქარი და ექვსი ვაგონი კარტოფილი, საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა ერთი ვაგონი ფქვილი გორში გაგზავნა, ერთი ვაგონი შაქარი ამიერ კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირს გადასცა.

◆ **შალვა დადიანის** მონაწილეობით დღეს ქუთაისის თეატრში წარმოდგენილი იქნება ცენზურის მიერ აკრძალული არცაბაშევის პიესა „ომი".

◆ **ზედმეტი პური მუშებს.** მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციისა და ქალაქის სასურსათო კომიტეტის დადგენილებით ვინც ფიზიკურ შრომას ეწევა, განაწესრიგებულ ნორმაზე მეტი პური მიეცემა. ასეთებია, დურგლები, მხერხავები, ქვის მომუშავეები, შპალერის გამკვრელები, მღებავები, მჭედლები, ხარატები, წყალსადენზე მომუშავეები, მიწის მთხრელები, მებადეები, მეწაღეები, პურის მცხობელნი, ფოსტალიონები, მეთუნუქეები, მრეცხავები, მეკურტნეები, ტრამვაიზე მომუშავეები, მექვაბეები, მეზოვეები და სხვა. ესენი მიიღებენ დღეში 2 გირვანქა პურს, დანარჩენები კი 1 გირვანქას.

◆ **სამგლოვიარო წერილები.** ღრმა მწუხარების და უსაზღვრო აღშფოთებას გამოვთქვამთ ჩვენი საყვარელი ამხანაგის, საზოგადო მოღვაწის, ილიკო მოსესძე ქუთათელაძის ტრაგიკულად გარდაცვალების გამო. ზიზღსა და გულის წყრომას ვუცხადებთ მის მკვლელებს, ილიკოს შრომა და ღვაწლი დაუვიწყარი დარჩება როგორც დიდი ჯიხაიშის საზოგადოებაში, ისე მთელ მუშათა კლასის გულში. პ. ს. შილაკაძე ალიფ. გ. არველაძე ათანას ფრანგიშვილი ლ. ლიქავა ქ. ა. ვაშაკიძე რაჟდენ ვაშაკიძე ა. ნუცუბიძე, შალვა გოგუაძე, ალექ. მაქ. დარსველიძე. პორ. შავლაყიძე.

— უზომოთ დაგვამწუხარა ამხანაგ ილიკო მოსესძე ქუთათელაძის ვერაგულად სიკვდილმა მე და ბრძოლის ველზე დაჭრილები და ავადმყოფები ქართველები. ზიზღს გიცხადებთ თქვენ, ილიკოს მკვლელებო, სამშობლოს და თავისუფლების მოღალატენო. საზოგადოება არ დაივიწყებს ჯალათების და ნაძირალების მოქმედებას, რომლებმაც ამ ისტორიულ დროს სიცოცხლე მოუსპეს ხალხის მოამაგეს, მუშათა კლასის საამაყო შვილს სილოვან მანჯგალაძე.

— თანამგრძნობას ვუცხადებ ავაზაკურად მოკლულ მასწავლებლის ილიკო ქუთათელაძის პარტიულ ამხანაგებს, დაობლებულ და უწყნოთ დარჩენილ ცოლ-შვილს და დიდი-ჯიხაიშის საზოგადოებას. ილიკომ მთელი თავისი სიცოცხლე, საუკეთესო მომავალი და ცოლ-შვილის ბედიც ხალხის კეთილ დღეობას შესწირა. იგი იყო უაღრესად პატიოსანი კაცი, სიმართლის პირდაპირ მთქმელი დაუღალავი მუშაკი. საუკეთესო მასწავლებელი ხალხის მოჭირნახულე და მისი ფხიზელი დარაჯი. ექიმი ევსევი გ. ლოსაბერიძე.

კრებები და მიტინგები.

— დღეს, საღ. 7 საათზე, შესდგება რ. ს.-დ. მ. პ. ორგანიზაციის მეორე რაიონულ კოლექტივის წევრთა კრება.

— დღეს, საღამოს 7 საათზე, ნაძალადევის თეატრში ამხ. კ. გვარჯალაძე წაიკითხავს მოხსენებას მიმდინარე პოლიტიკურ მომენტზე.

— დღეს, საღამოს 8 ს., ებრაელთა საქველმოქმედო საზოგადოების შენობაში (ბელგიის ქ. № 8) დანიშნულია ებრაელ ჯარისკაცთა კრება.

პროვინციის ქრონიკა.

ს. ბონების-ქარი (შემოქმედის საზ.). 24 აგვისტოს გაიმართა წარმოდგენა ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოთ. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო წმინდა. შემოსავალი დარჩა 777 მან. და 93 კაპ.

ხიდისთავი (გურია). 20 აგვისტოს კ. ძლენტმა წაიკითხა ლექცია „მოსამზადებელი მუშაობა სოციალიზმისათვის დასავლეთ ევროპაში". ლექცია შინაარსიანი იყო. ნახევარი შემოსავალი გადაეცა ადგილობრივ სოც.-დემ. ორგანიზაციას.

— აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით ანტი-საზოგადოებრივი გამოსვლებისათვის სამი დღით დატუსაღებულ იქნა ვაჟარი იაგორ თალაკვაძე.

— ადგილობრივი ვაჭრების თავგასულობას საზღვარი აღარ აქვს. ხშირად საქონელს მალავენ, რომ შემდეგ აწეულ ფასებში გაყიდონ. აღმასრულებელმა კომიტეტმა გადამალული საქონელი ჩამოართვა ვაჭრებს ნესტორ კობიძეს და არტემ სიხარულიძეს, რომელიც ნიხრის თანახმად გაიყიდება.

— მეტლეთა მოიჯარადრების აღვირ წახსნილობამ ყოველივე საზღვარს გადააცილა. ისინი არც საზოგადოებრივ მოთხოვნილებას და არც რევოლუციონურ დაწესებულებას არავითარ ანგარიშს არ უწევენ,. დადგენილია დილიჟანის მსვლელობა უნდა ყოფილიყო ბუკნარის გზით. მიუხედავათ იმისა, რომ გზაც უკეთესია, საზოგადოებრივი ინტერესებიც მოითხოვს დილიჟანის მსვლელობა იყოს ბუკნარის გზით, ისინი უპრალო ჟინიანობის გამო მაინც მეორე გზით დაიარებიან. მგზავრებსაც საშინლად უხეშად ეპყრობიან მაგ. ბ. ნმა იაგორ თალაკვაძემ წინ დღით ბილეთ აღებული მგზავრები დატოვა იმისთვის, რომ ის პირადათ მასთან არ იყო კარგ განწყობილებაში. აბა ლანძღვა გინებას ხომ საზღვარი არ აქვს. გამგეობა ყველა ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს. საჭიროა თვით საზოგადოებამ და რევოლუციონურმა დაწესებულებებმა შესაფერი ზომები მიიღონ, რომ ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს მოიჯარადრებისაგან საზოგადოების ასე აბუჩად აგდებას.

— აქ უკვე შემოღებულია 8 საათის სამუშაო დრო.

— კოოპერატივმა მიიღო ორი ვაგონი სიმინდი. ფუთი იყიდება 4 მ. 90 კ. კოოპერატივმა გახსნა სახარაზო, წაღები შედარებით ძალიან იაფად იყიდება. 10—12 მანეთი რომ კოოპ. წუღა ღირს ის კერძო ხარაზებთან 17—18 მანეთად იყიდება. ხალხი თანდათან ეწერება კოოპერატივში წილების შესაძენად.

— ხიდისთავის რაიონში მძვინვარებს საქონლის ჭირი. დრო გამოშვებით დაიარება ლანჩხუთიდან საქონლის ექიმი, მაგრამ ეს საქმეს არ შველის. საწუხაროდ ზოგიერთი პირები უმალავენ ექიმს დაჭირვებულ საქონელს და მით ჭირის გაძლიერებას კიდევ ხელს უწყობენ. აუცილებლად საჭიროა დაარსდეს ხიდისთავში საბეითლო პუნქტი, როგორც ეს სხვა რაიონებშია. მუდმივი ექიმის ყოლა აქ აუცილებელია.

თელაველ სახალხო მასწავლებელთა საგულისხმოთ

ხსენებული მასწავლებლები დიდათ აღელვებულან „ერთობაში" დაბეჭდილი ვითომდა ჩემ წერილს*) იმ საპროტესტო დეპეშის შესახებ, რომლითაც მასწავლებელთა კრებამ მოითხოვა უზნაძის დანიშვნა. ამავე კრებას გადაუწყვეტია: „შესაფერი პასუხი გასცენ და პროტესტი განუცხადონ თვით კიკვაძეს". („სახ. საქმე" № 31).

სჩანს, თელაველ მასწავლებლებს რაღაც ცუდად ჩაუჭრიათ გულში, თორემ მე რა შუაში ვარ?! მათი მოქმედება ლამანჩელი გმირის მოღვაწეობას მაგონებს. ბ. უზნაძის შესახებ, საქვეყნოთ ვაცხადებ, არაფერი დამიწერია, მაგრამ ნათქვამია: „მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდაო".

თ. კიკვაძე.

უცხოეთი.

რუსეთის „ოხრანა"-ს მოქმედება პარიზში. პარიზიდან დაბრუნებული მ. პაველოვიჩი, რომელიც სხვებთან ერთად მუშაობდა რუსეთის „ოხრანკის" პარიზის განყოფილების არქივში, შემდეგ ცნობებს იძლევა „ოხრანკა"-ს მუშაობაზე. „ოხრანკის" წლიური ბიუჯეტი უდრიდა 700 ათას ფრანკს (ფრანკი=37 ნახ. კ. ჩვეულებრივ დროს). მთავარ გამგეს კრასილნიკოვს ყავდა უკანასკნელ დროს 27 თანამშრომელი, რომლებიდანაც: 12 იყო ს.-რევოლ. 6 ს.-დ.; 3 ანარქისტი და 1 ბუნდოელი. მთავარი აგენტი პროვოკატორი, ს.-რ., რომლის გვარსაც ჯერ არ აქვეყნებენ, ღებულობდა წელიწადში 30 ათას ფრანკს. ს.-დ. თანამშრომელი ჟიტომირსკი (მეტი სახელი „დოდე") ღებულობდა 24 ათას ფრ. მესამე, კოკოჩინსკი, მეტ სახელათ „გრეტხენი", ღებულობდა 20 ათ. ფრ. 21 რუს პროვოკატორების გვარები, რომლებიც უკანასკნელათ მუშაობდენ „ოხრანკაში" და 45 წინათ მომუშავეების გამოქვეყნდება ახლო მომავალში.

— **ფრ. ადლერის საქმე.** ციურიხიდან იტყობინებიან, რომ ფრ. ადლერის სიკვდილით სასჯელი მოხსნილია. იმპერატორის ბრძანებით სიკვდილით დასჯა შეცვლილ იქნა უმაღლეს დამსჯელ ზომით—18 წლის კატორღით. ადლერის მეგობრებს განზრახვა აქვთ დაიწყონ კამპანია ადლერის საქმეში დაშვებულ უკანონობის გამო.

— **მიხაელისის დანიშვნის შესახებ.** „ფორვერტს"-ი აღნიშნავს იმ გარემოებებს, რომლებშიაც მიხაელისის საიმპერიო კანცლერათ დანიშვნა მოყვა. მიხაელისის დანიშვნა ყველასთვის მოულოდნელი იყო. სხვა კანდიდატებიც იყვნენ, მაგრამ მათ სერიოზული დაბრკოლებები გადაეღობა წინ. მიხაელისის კანდიდატურა შემთხვევით წამოაყენეს. 3 საათის წინ დანიშვნისა, ვილჰელმი არაფერს არ ფიქრობდა მიხაელისზე. კაიზერის დამოკიდებულება მიხაელისთან არაა ისე კარგი, როგორც ეს ბეტმან ჰოლვეგთან იყო.

„ფოსიშე ცეიტუნგ"-ი ამას დაუმატებს, რომ კაიზერმა კრონ-პრინც ფრ. ვილჰელმს დაავალა შეეტყო პოლიტიკურ პარტიათა დამოკიდებულება ბეტმან-ჰოლვეგთან. ეს იმიტომ, რომ ბეტმანმა განუცხადა კაიზერს, რომ რაიხსტაგის დიდი უმრავლესობა მის მხარეზეა. მაგრამ მხოლოდ პროგრესისტ პაიერმა განუცხადა სრული ნდობა ბეტმანს. გაზეთი დაუმატებს, რომ უფრო სერიოზულ კანდიდატურას,—ალბად თავ. ბიულოვს,—მკაცრი წინააღმდეგობით შეხვდენ სოც. დემოკრატები და მან გამოიწვია მიხაელისის მოულოდნელი დანიშვნა. ყველა ზემოთმოყვანილი ნათელი მაჩვენებელია იმისი, რომ მიხაელისის მდგომარეობა მტკიცე არ არის. მასდამი უკმაყოფილება თანდათან იზრდება, როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე წრეებში.

ქალაქის საბჭოში.

(4 სექტემბრის სხდომა).

სხდომას თავმჯდომარეობს ამხ. **ივანე გეგეჭკორი.**

წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა წინა სხდომაზე მიღებული დადგენილებები.

თავმჯდომარე კითხულობს საბჭოთა ცენტრალურ კომიტეტისა და სრულიათ რუსეთის გლეხთა კავშირის მიერ გამოგზავნილ დეპეშას, რომელსაც ხელს აწერს კ. ჩხეიძე და აქსენტიევი. დეპეშაში ნათქვამია, რევოლუცია უნდა იხსნას დემოკრატიამ, 12 სექტემბერს მოწვეულ იქნება სრულიათ რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა თათბირი და სთხოვენ თფ. ქალაქის თვითმართველობას გაგზავნოს თათბირზე 3 წარმომადგენელი.

მეორე დეპეშა გამოგზავნილია კავკასიის ჯარის ცენტრისაგან, რომელიც სთხოვს ქალაქის საბჭოს გაგზავნოს თავის წარმომადგენელი რკინის გზათა სახალხო მილიციაში.

სანამ დღის წესრიგის განხილვას შეუდგებოდნენ, ხმოსნები აყენებენ რიგ გარეშე განცხადებას.

ამხ. გ. კონიევი აცხადებს, მალე უნდა მოხდეს პეტროგრადისა და დორპატის უნივერსიტეტის ევაკუაცია და სასურველია ერთი მათგანი გადმოტანილ იქნას თფილისში; ჩვენის აზრით უკეთესი იქნება თუ დორპატის უნივერსიტეტს გადმოვიტანთ. ამის შესახებ ვრცელ მოხსენებას შემდეგ სხდომაზე წარმოვადგენთ, ახლა კი ეთხოვოს ქალაქის გამგეობას აღძრას ამ საკითხის შესახებ შუამდგომლობა განათლების საქმეთა სამინისტროს წინაშე.

მიღებულ იქნა ამ განცხადებაზე ამხ. ლ. ლომთათიძის წინადადება, შუამდგომლობის დეპეშა გაეგზავნოს მინისტრთა თავმჯდომარეს, განათლების საქმეთა მინისტრს, ა. ჩხენკელს, ირ. წერეთელს და მ. სკობელევს.

რუსეთში რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ განცხადებას აკეთებს ამხ **სილიბისტრო ჯიბლაძე**, დეპეშამ დიდ მნიშვნელოვანი ამბავი მოგვიტანა—ამბობს რუსეთში რესპუბლიკის დამყარებისათვის წამებული მოხუცი, დრ. მთავრობამ, გაუწია ანგარიში დემოკრატიის მოთხოვნილებებს და რომ ბოლო მოეღო ყოველგვარ რყევისათვის, დეკრეტით დაამტკიცა რუსეთში რესპუბლიკა, ამიერიდან არქივში გადაცემულ მეფის თვითმპყრობელობის მაგიერათ. წესდება ხალხის თვითმპყრობელობა. (ფ. მახარაძე ადგილიდან: „ეს არ არის დეპეშაში ნათქვამი) ეს ყველა გამარჯვებაზე მაღლა დგას და მე, ჩემი ფრაქციის სახელით მივესალმები ამ დეკრეტს. გაუმარჯოს რუსეთის რესპუბლიკას!, (ხანგრძლივი ტაში).

მიღებულ იქნა ამხ. ნოე რამიშვილის წინადადება გაეგზავნოს რესპუბლიკის გამოცხადების გამო მისალმების დეპეშა დრ. მთავრობასა და რევოლუციონურ ორგანიზაციებს.

ამხ. ლ. ნათაძე სასწავლო ოლქის კომისარიატის სახელით სთხოვს საბჭოს მოაწყოს სასკოლო კომიტეტი და ეს საქმე გადაეცეს გამგეობის სასკოლო კომისიას. კომისარიატის პროექტით კომიტეტში შედიან: 10 წარმომადგენელი ქალაქის თვითმართველობისაგან, 3—მასწავლებელთა კავშირისაგან, 3 გუბერნიის აღმასრულებელ კომიტეტისაგან (მაზრებში მაზრის აღ. კომ.), კომიტეტის სხდომას ესწრება აგრეთვე მშობელთა წრის ორი წარმომადგენელი, თუ გასარჩევი საკითხი მათ სკოლას ეხება.

ლ. ნათაძის წინადადება საბჭომ მიიღო.

დ. მერხალევი. (ს.-რ.) იძლევა კითხვას, როდის იქნება შემოღებული პურის ბარათებით გაყიდვა, რატომ მოუმატეს ფასი პურს და ვის უნდა მივმართოთ ამ შეკითხვით.

ალ. ხატისოვი (დაშნ.) წინადადებას იძლევა ეს საკითხი გარჩეულ იქნას დღის წესრიგის მეორე მუხლთან ერთად.

მიღებულ იქნა ამხ. ნოე რამიშვილის წინადადება პირველად გაირჩეს სასურსათო საკითხი, შემდეგ საკითხი სიკვდილით დასჯის შესახებ, დანარჩენ ნაწილში დღის წესრიგი დარჩეს უცვლელად.

ამხ. მ. რუხია იძლევა განმარტებას დ. მერხალევის შეკითხვაზე. პურის ბარათებით გაყიდვა დაიწყება ხვალიდან, ფასის მომატება მოხდა სასურსათო საქმის სამინისტროს განკარგულებით და არა ჩვენი ნებით. ქალაქის სასურსათო კომიტეტი ყოველ წუთში მზათ არის გადასცეს საქმე ქალაქის თვითმართველობას. კომიტეტში შედიან 10 წარმომადგენელი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსაგან, 6—კოოპერატივებისაგან და 5—წარმომადგენელი უნდა გამოგზავნოს ქალაქის ახალმა საბჭომ.

დ მერხალევი. თქვენ ჯერ არ მიგიღიათ ის ფქვილი, რომლის ფასი გადიდებულია სამინისტროს განკარგულებით და რატომ აქ დღესვე უმატებთ პურის ფასსო. სანოვაგის განაწილება თქვენი მთავარი საქმე იყო და ამ საქმეშიაც არაფერი გაგიკეთებიათ, არ მიგიღიათ ზომები რძის გასანაწილებლათ და სხ. კომიტეტი თავის მოქმედებას მხოლოდ ნიხრების გამომუშავებით განსაზღვრავდა. რუხია ამბობს) ქალაქის სასურსათო კომიტეტში შედიან მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და კოოპერატივების წარმომადგენლებიო. ისინი არ არიან ქალაქის მთელ მცხოვრებთა წარმომადგენელნი, ქალაქის წარმომადგენელია ქალაქის საბჭო და აქ უნდა განხილულიყო პურზე ფასის მომატების საკითხი. ორატორი მოითხოვს ქალაქის სასურსათო კომიტეტის დადგენილება გირვანქა პურის 24 კაპ. გაყიდვის შესახებ გაუქმებულ იქნას და სასურსათო საქმე დაუყონებლივ გადაეცეს ქალაქის საბჭოს.

ალ. ხატისოვი (დაშნ.) აცხადებს, რომ სასურსათო საქმის გადაცემა ქალაქის თვითმართველობისათვის დრ. მთავრობამ დაადგინა და ჩვენმა საბჭომ წინადადება უნდა მისცეს ქალაქის გამგეობას დაუყონებლივ აიღოს საკუთარ ხელში სასურსათო საქმე. შემდეგ ორატორი თუმცა ფრთხილ და მოზომებულ გამოთქმებით, მაგრამ მაინც უკმაყოფილებას აცხადებს, ქალაქის სასურსათო კომიტეტი ვერ იჩენდა საჭირო უნარსო... ის წინააღმდეგია ხვალიდანვე პური 24 კ. გაიყიდოს გირვანქა, როგორ შეიძლება, თუ ხორბალზე ფასი მოუმატეს, ჯერ ის ხორბალი აქ არ ჩამოსულა და თქვენ ძველ ფასებში ნაყიდ ფქვილიდან გამოცხობილ პურზე უმატებთ ფასსო. უნდა გაუქმებულ იქნას კომიტეტის დადგენილება. აქ რომ მოვდიოდი; ქუჩაში ვნახე ამ დადგენილებით აღელვებული ხალხი... ყველამ შემომძახა, რის შეებით ამას, რათ აძვირებთ პურსაო... აუცილებლად უნდა შევამციროთ პურის ფასიო... ხატისოვის ასეთ „გულკეთილობამ" ზოგიერთის მხრით ტაშისცემაც კი გამოიწვია..

ქალაქის თავი ნ. ელიავა. სასურსათო საქმის კრიტიკა მეტათ ადვილია, ამით ყოველთვის შეიძლება თანაგრძნობა გამოიწვიო მსმენელებში. ხატისოვი—იმანაც კი დაიმსახურა ტაშისცემა... მაგრამ უნახოთ, რამდენათ მართალია ხატისოვი, როცა ჩვენ გვიწუნებს საქმიანობას. როგორც იცით სასურსათო საქმე ქალაქის ს. ს. კომიტეტმა მიიღო ძველ საბჭოსაგან, მაშინ ხატისოვი ქალაქის თავი იყო. ჩვენ დღემდისაც ვერ ვიღებთ ანგარიშს საბჭოსაგან, იმ საბჭოსაგან, რომლის თავმჯდომარე ხატისოვი იყო. ხატისოვმა კარგათ უნდა იცოდეს, რომ კრიზისი ჩვენ არ შეგვიქმნია, იგი ძველი რეჟიმის მემკვიდრეობაა ჩვენ ვიკვებებოდით ჩრდილო კავკასიიდან შემოტანილი პურით. დღეს ჩრდილო კავკასია იძულებულია მთელი რუსეთი არჩინოს, თან გადატან-გადმოტანაც ძნელდება, ომიანობის გამო. დრ. მთავრობამ ბრძანება გამოსცა ორჯერ გადიდებულიყო პურის ფასი და ჩვენც არ შეგვეძლო ეს ბრძანება არ შეგვესრულებინა. მ. ჯ. და გ. დეპუტატების საბჭოთა ცენტრმა გამოუშვა მოწოდება, აფრთხილებს ხალხს, რომ პურის ფასი გადიდებული იქნება, ხვალიდან ჩვენ იძულებული ვიქნებით თითო სულს მხოლოდ 1 გირვ. პური მივსცეთ. ესეც უკმაყოფილებას გამოიწვევს, მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ?.. დღეს მთელი რუსეთი დამშეულია, ხალხი გაჭირვებულია და აქ რომ ვინმემ მოითხოვოს, ხვალიდან ორი გირვანქა პურის მიცემა, რა თქმა უნდა, ტაშისცემას გამოიწვევს, მაგრამ ეს საქმეს როდი უშველის.

ათაბეგოვი (მოუშ.) მოითხოვს ხვალიდანვე მოახდინონ ყველა კერძო პურის საცხობების რეკვიზიცია.

მ. რუხია (ს. დ., ქალაქის სასურ. კომიტეტის თავმჯდ.) ქ. ლ. სას. კომიტეტი ყოველთვის მზათაა საქმე გადასცეს ქალაქის თვითმართველობას და თქვენ ტყვილა აწვებით ღია კარებს. მერხალევის მტკიცებას, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო არ არის თფილისის მცხოვრებთა ინტერესების გამომხატველი, ჩვენ დავიმახსოვრებთ. მერხალევი და ხატისოვი ამტკიცებენ, ჯერ ის ხორბალი, რომლის ფასი გადიდდა, აქ არ მოსულა და პური რათ გააძვირეთო. ცხადია, მათ არავითარი წარმოდგენა არა აქვთ მონოპოლიაზე. როცა პურზე მონოპოლიაა შემოღებული, მაშინ ფასი დამოკიდებულია დეკრეტზე და არა იმაზე, თუ პური სად არის. ჩვენ 1 აგვისტოდან უნდა გაგვედიდებინა პურის ფასი მთავრობის განკარგულების თანახმად. სიიდან ავიღოთ ის ზარალი, რომელიც გამოიწვია პურის ფასის გადიდების დაგვიანებამ? შეიძლება ალექსანდრე ივანეს ძე ხატისოვმა მოგვცეს ქალაქის ძველი გამგეობის კასიდან?!. ქალაქის სასურსათო კომიტეტმა მიმართა ამ საკითხის შესახებ კავკასიის მ., ჯ. და გ. დეპ. საბჭოთა ცენტრს; ცენტრმა გაითვალისწინა მდგომარეობა და გამოუშვა მოწოდება ხალხისადმი (ხმები ადგილიდან: „მერხალევიც იღებდა მონაწილეობას ამ მოწოდების გამომუშავებაში"...) თვით მერხალევმაც მოაწერა ხელი ამ მოწოდებას!.. (ტაშისცემა) და დღეს სრულიად არ მოველოდით მის ასეთ გამოსვლას... შაბათს იგი მოუწოდებდა მცხოვრებთ შეხვედროდნენ პურის გაძვირებას მშვიდათ, მაშინ იგი ნამდვილი რევოლუციონერი იყო, და დღეს კი... დღეს არ ვიცი რა უწოდო მის დღევანდელ გამოსვლისთვის...

რაც შეეხება ბარათების დარიგების დაგვიანებას, უნდა მოგახსენოთ შემდეგი: ბარათები იბეჭდებოდა მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს სტამბაში. სტამბაში აურიეს სამუშაოს და, მიუხედავათ ჩვენი ხვეწნა მუდარისა, ბარათების დაბეჭდვა ვერ მოასწრეს ადრე. ეს თვით მერხალევმაც კარგათ იცის...

კრიტიკის გაწევა ადვილი საქმეა. ამ მხრით შეგვეძლია უფრო შორსაც წავიდეთ და ვიკითხოთ, რა გააკეთა სასურსათო კრიზისის თავიდან ასაცილებლათ მთელმა დემოკრატიამ? მაგრამ ამას ვინ ამბობს ჩვენ კარგათ ვიცით, ყოველ შემთხვევაში რევოლუციონერები არ ამბობენ...

როცა ხატისოვი იყო ქალაქის თავათ, მაშინ თფილისში 15 ვაგონი ფქვილი შემოდიოდა დღეში და პური მაინც არ იყო. დღეს კი მხოლოდ 6 ვაგონი ფქვილი შემოდის დღეში და ჩვენი რა ბრალია, რომ პურის ნაკლებობა იყოს... რაც შეეხება რძის განაწილებას, ამაზე ალბათ იმისთვის ილაპარაკეს, რომ ტაშისცემა გამოეწვიათ.

ალ. ლომთათიძე. ტყვილა ღელდება ამხანაგი რუხია! საქმეს რომ ჩაუკვირდეთ, შევამჩნევთ, რომ ჩვენს წინააღმდეგ თავდასხმას ამზადებდნენ და დღეს უკვე დაიწყეს იგი, მაგრამ დაე იცოდნენ, რომ ჩვენი ფრაქცია ასე ადვილათ არ დანებდება. არ ვიცი, ხატისოვი გამოვიდა დღეს როგორც ხმოსანი, თუ სხვა რამ მიზნით?.. მე ვამტკიცებ, მან იმისთვის ილაპარაკა აქ აღელვებულ ხალხზე, რომელსაც მისთვის მიუმართავს, რომ უფრო მტკიცე გამოსულიყო მისი სიტყვა. ის რომ რევოლუციის ინტერესებიდან გამოდიოდეს, მაშინ არ მოიხსენიებდა აქ პურის გაძვირებით აღელვებულ ხალხს. რა თქმა უნდა, ქალაქის მცხოვრებნი აღელდებოდნენ პურის გაძვირებით სასურსათო კომიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, თუ თქვენ ისურვებდით, იგი დაწვრილებით მოხსენებას წარმოგიდგენდათ სასურსათო საქმის შესახებ. თქვენ ეს არ მოგითხოვიათ, მაშ რა ცნობებით ხელმძღვანელობთ თქვენ, როცა აკრიტიკებთ კომიტეტის მოქმედებას? ეს ცნობები თქვენ არა გაქვთ, მაშასადამე, სულ სხვა მოსაზრებები გამოქმედებთ. მე მესმის ხატისოვის გამოსვლა, მაგრამ ვერ გამიგია მერხალევის მოქმედება. ჯერ მან თვითონ დარბაზში ხელი მოაწერა ხსენებულ მოწოდებას. პურის გაძვირება, მაშასადამე, მისთვის ახალი ამბავი არ არის. ვისთვისაც ძვირფასია რევოლუციის ინტერესები, ასე არ უნდა გაილაშქროს დემოკრატიულ ორგანიზაციების წინააღმდეგ, სადაც, სხვათა შორის, შედის თვით მერხალევიც.

შემდეგ კამათიდან გამოირკვა, ბევრს უბრალო ცნობებიც კი არ ჰქონიათ სასურსათო საქმის შესახებ, ისე აკრიტიკებდნენ კომიტეტის მოქმედებას. ეს გარემოება აიძულებდა ქალაქის თავს ხშირათ გამოსულიყო ახსნა განმარტებით. ამიტომ ერთხმათ მიღებულ იქნა ი. ქარცივაძის (ს.-რ.) წინადადება, საკითხი გადაიდოს შემდეგ სხდომისათვის. ვინაიდან სასურსათო საკითხი მეტათ საშურია, გადაწყდა შესდგეს მის განსახილველათ საგანგებო სხდომა ხუთშაბათს, საღამოს 7 საათზე.

ამხ. ნოე ჟორდანიას წინადადებით ქალაქის საბჭო შეუერთდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპ. საბჭოთა ცენტრის მიერ მცხოვრებთადმი პურის გაძვირების გამო მიმართულ მოწოდებას (ბოლშევიკებმა თავი შეიკავეს).

ამის შემდეგ სიკვდილით დასჯის საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ფ. მახარაძე (ბოლშ.) მოხსენებელმა დიდ ხანს ილაპარაკა მომენტზე, კადეტებზე, დრ. მთავრობაზე, ერთი სიტყვით ყველაფერზე, მხოლოდ თვით საკითხის შესახებ ბევრი არაფერი უთქვამს, მოხსენება მეტათ უფერული გამოდგა, ბოლომდის იგი მხოლოდ ორიოდე ხმოსანმა თუ მოისმინა. . მოხსენების დასასრულს, მახარაძემ წაიკითხა რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია, თუ ქალაქის საბჭო ენერგიულ პროტესტს აცხადებს ფრონტზე სიკვდილით დასჯის შემოღების წინააღმდეგ და ადგენს ყოველივე ძალ ღონით შეეცადოს მის გაუქმებასო.

ამხ. ნოე ჟორდანიას წინადადებით სხდომის გაგრძელება გადაიდო შემდეგისათვის და შეუდგენ სრულიათ რუსეთის მ. და ჯ. დეპ. საბჭოთა თათბირზე დელეგატების არჩევას ხმის დიდი უმეტესობით აირჩიეს ი. იდაშქანი (ს. დ.), დ. მერხალევი (ს.-რ.) და ა. შახტუნიანი (დაშნ.); კანდიდატებათ: არ. ერზინკიანცი (ს.დ.), ი. ქარცივაძე (ს. რ.) და იანჩიკიანცი (დაშნ.)

რკინის გზათა სახალხო მილიციაში წარმომადგენლის არჩევა მიენდო გამგეობას.

ვანო ადათიშვილი.

ქ. გორის ახლად-ამორჩეულ ხმოსნების პირველი სხდომა.

24 აგვისტოს ქ. გორის სავაჟო გიმნაზიაში 8 ნახ. საათზე შესდგა პირველი სხდომა ახალი ხმოსნებისა. დარბაზი ხალხით გაჭედილია. თავმჯდომარის ადგილი უკავია ლ. გრიგოლაშვილს (ქალ. თავი) ირგვლივ სხედან ქალაქის თავის ამხანაგები: დ. მაჭავარიანი და ალ. მელიქოვი, აგრეთვე უპრავის მდივანი მ. ახალბედაშვილი. ხმოსნებიდან დაესწრო 30 კაცი. სხდომა იხსნება და სიტყვას ამბობს ქალაქის თავი ლ. გრიგოლაშვილი, რომელიც იხსენიებს ძველ თვითმართველობას და ამბობს, რომ ჩვენ შეზღუდული უფლებები გვქონდა და თუ რამე კეთდებოდა დიდი ენერგია იყო საჭირო. შემდეგ ის სალამს უძღვნის ახლათ არჩეულ ხმოსნებს და წინადადებას აძლევს მათ ფეხზე ადგომით პატივი სცენ რევოლუციის მსხვერპლთ. სიტყვის შემდეგ ის აცნობს ხმოსნებს დღიურ წესრიგს: 1. არჩევნები საბჭოს თავმჯდომარისა, 2. მდივნის არჩევნ-

---

*) ეს წერილი თ. კიკვაძეს არ ეკუთვნის. რედ.

ბი, 3. ქალაქის თავის არჩევნები და 4 არჩევნები გამგეობის წევრებისა.

შეუდგნენ საბჭოს თავმჯდომარის არჩევას, რომლის დროს კამათი იმართება ფრაქციებ შორის და ირკვევა ჯამაგირი დროებით არ დაენიშნოს, რადგანაც ქალაქის კასსა კრიტიკულ მდგომარეობაშია. ხმის უმეტესობით წინადადება მიღებულ იქნა. შემდეგ ამისა სხვა ფრაქციებიდან ს. ფ. და ს. რ. მხრიდან ასახელებენ ამხ. ხმოსან დათიკო ე. ონიაშვილს (ს. დ.), რომელიც ერთხმად გადის და იჭერს თავმჯდომარის ადგილს. ის სიტყვას ამბობს, მადლობას უხდის ხმოსნებს არჩევისათვის და შემდეგ აღნიშნავს სამუშაო გეგმას. ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სურსათის საქმეს და დღევანდელ მომენტს.

შემდეგ გადადიან მორიგ კითხვაზე. პირველათ არჩევენ საკითხს მდივნის ჯამაგირის რაოდენობის შესახებ. ხმის უმეტესობით გადაწყდა დაენიშნოს ჯამაგირი მდივანს 200 მან. თვეში. მდივნათ ირჩევენ ერთხმათ ამხ. ვარდოიანცს, (ს. დ.) ის მადლობას უხდის ხმოსნებს და აცხადებს, რომ უარს ამბობს ჯამაგირზე. კამათი დაიწყო ქალაქის თავის ჯამაგირის შესახებ. ხმის უმეტესობით გადაწყდა მიეცეს 400 მან. თვეში. ასახელებენ სერგეი ისიდორეს ძე რონაქიძეს; ყველანი სიამოვნებით ეგებებიან ამ განცხადებას. ამხ. ს. რონაქიძემ არჩევის შემდეგ მიმართა ხმოსნებს და დამსწრე საზოგადოებას ვრცელი და შინაარსიანი სიტყვით.

ამის შემდეგ გადაწყვიტეს აირჩიონ სამი გამგეობის წევრი. გამგეობის წევრს დაენიშნა 300 მან. ჯამაგირი თვეში.

ასახელებენ კანდიდატებს. წინადადება მიღებულია. დაუდგეს ყუთი ხუთ დასახელებულ კანდიდატებს.

1) შ. ჯავახიშვილს (ს.-დ.) 2) ამირეჯიბს (ს. რ.), 3) მელიქიშვილს ალ. (უპარტიო), 4) კაპანაძე მაშოს და 5) ციციშვილი ნ.

შედეგებიც ასეთი მივიღეთ: 1) ჯავახიშვილი შაქრო (ს. დ.) თეთრი 18 ხმ. შავი 12 ხმ., 2) ამირეჯიბი (ს. რ.) თეთრი 10 ხმ. შავი 20 ხმ., 3) მელიქიშვილი ალ. (უპ.) თეთრი 12 ხმ. შავი 18 ხმ., 4) კაპანაძე მაშო (ს. დ.) თეთრი 19 ხმ. შავი 11 ხმ., 5) ციციშვილი ნ. (ს.-დ.) თეთრი 16 ხმ. შავი 14 ხმა.

ამნაირად გავიდენ სამი ხმოსანი ს.-დ. ფრაქციიდან გამგეობის წევრებათ 1. მაშო კაპანაძე, 4. შ. ჯავახიშვილი და 3. ნ. ციციშვილი. ადგილები ს.-დ. პარტიის წარმომადგენლებს ხვდათ.

გამგეობის წევრმა ამხ. ციციშვილმა მიმართა ხმოსნებს. შემდეგ ილაპარაკა დ. ონიაშვილმა და პირველი სხდომაც დაიხურა.

„ოხიკო“.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

საუბნო ორგანიზაციების შესახებ.

ცხოვრება და გამოცდილება, მუდამ ასწორებს იმ შეცდომებს, რომელიც საქმის დაწყების დროს ხდება. ჯერ კიდევ მარტში ზოგიერთი ამხანაგები იმ აზრის იყვნენ, რომ თფილისში მოწყობილიყო 8 სარაიონო კოლექტივი და არა ოთხი, მაგრამ მაშინ ხმის უმეტესობით გადაწყდა თფილისის ოთხ რაიონათ გაყოფა. დღეს არჩევნების შედეგმა და ორგანიზაციულმა მუშაობამ დაარწმუნა ბევრი ამხანაგი, რომ ასეთ ორგანიზაციებს არ შეუძლია გააკეთონ ის, რაც საჭიროა. მაგალითათ მე 4 რაიონში შედის 5 სამილიციო უბანი. თავისუფლების შემდეგ ამ რაიონის საზოგადო პარტიული კრება მოხდა მხოლოდ ერთხელ, რომელზედაც აირჩიეს ხელმძღვანელი კოლექტივი. ეს იყო და ეს ამის შემდეგ პარტიის წევრებს ერთათ თავი არ მოუყრია და არც არავინ, იცის კეთდება რამე თუ არა.

ცხადია ასეთ პირობებში მუშაობა შეუძლებელია. უმთავრესათ რაიონული ორგანიზაციები პრაქტიკულ მუშაობას ეწევიან, როგორც მაგალითად არჩევნები თვითმართველობაში დ სხვა დაწესებულებებში. საჭიროა გადასახადის მოკრება, თანაგრძნობის შემოკრება პარტიის გაზეთები და მათი გავრცელება და სხვა. როგორ ასრულებენ ასეთ საქმეებს დღეს არსებული რაიონული კოლექტივები? მაგალითისთვის მოვიყვანოთ კიდევ მეოთხე რაიონი, როგორ ჩაატარა ქალაქის არჩევნები ცუდათ, როგორ შეაგროვა საწევრო გადასახადი? ერთი მესამედიც არ არის აღებული. ყველა ამისი მიზეზი, აშკარაა, არის ორგანიზაციების დღევანდელი სისტემა. მართლაც შეუძლებელია ხარფუხელმა კაცმა საბურთალოზე იაროს საქმის საკეთებლათ, ან საბურთალოელმა ხარფუხში. ამიტომ ყველა ადგილს ერთი რაიონის ხელმძღვანელი ორგანო ვერ სწვდება და საქმე გაფუჭებული რჩება. ამიტომაც დაადგინა მეოთხე რაიონის კოლექტივმა შექმნას სამილიციო უბნის კომიტეტები. ასეთი კომიტეტი შედგა უკვე პირველ სამილიციო უბანში და შეუდგა კიდევაც მუშაობას, მაგრამ კითხვა დაისვა, რა უნდა აკეთოს ამ კომიტეტებმა? თფილისის კომიტეტის აზრით მისი მოვალეობაა ის აკეთოს, რასაც მეოთხე რაიონის კოლექტივი დაავალებს. მეოთხე რაიონული კოლექტივის აზრით კი საუბნო კომიტეტს უფლება აქვს პარტიის წევრები მიიღოს, [illegible] იქონიოს და იარსებოს როგორც ავტონომიურმა ორგანიზაციამ. უბნის კომიტეტიც ფიქრობს, მას შეუძლია პარტიის წევრი მიიღოს, ფულები შეაგროვოს და ყოველივე პარტიული საქმე აკეთოს, მაგრამ მაშინ რაღა საჭიროა კოლექტივი რაიონული? არაფერი. ორში ერთი: ან რაიონული კოლექტივი უნდა გაუქმდეს, ან უბნის კომიტეტს არავითარი უფლებები არ ჰქონდეს გარდა იმისა, რასაც თფილისის კომიტეტი ფიქრობს. ზემოდ მოხსენებულ კითხვის შესახებ 1 საუბნო კომიტეტის კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. [illegible]. მოხსენების შემდეგ კრებამ შემდეგი დაადგინა: 1) 1 სამილიციო უბნის სოც.-დ. კომიტეტი ემორჩილება დისციპლინას პარტიულს და აკეთებს იმას, რასაც მიანდობს მეოთხე რაიონის კოლექტივი და თფილისის კომიტეტი, ხოლო რა უფლებები ექნება ამ ახალ ორგანიზაციას, სწყვეტს თფილისის კომიტეტი, 2) საუბნო კომიტეტს მიზან შეწონილად და საქმისთვის აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია თფილისში ოთხი რაიონის მაგივრად შესდგეს საუბნო კომიტეტები დაახლოვებით არა ნაკლები 8 რაიონისა. ასეთივე რაიონებიდან საზოგადო პარტიულ კრებაზე იქნეს არჩეული თფილისის კომიტეტი. ამ ერთნაირ საფუძველზე არჩეული ორგანიზაციები უფრო დაახლოვებული იქნებიან ამომრჩევლებთან, უფრო დემოკრატიულიც იქნება და მეტ სარგებლობასაც მოუტანენ პარტიულ საქმეს. ზემოთ მოხსენებულ რეზოლიუციის თაობაზე ერთი მოსაზრება მოყავდათ მხოლოდ ასეთი სისტემის საწინააღმდეგოთ და ისიც ჩვენის აზრით უსაბუთო. მათი აზრით კარგია მეტი რაიონები, ხოლო ხარჯები ძვირი ჯდება და შეძლება არა გვაქვსო. ოთხი მდივნის და ბინის შენახვა გვიჭირს და რვა ხომ სულ გაგვაღატაკებსო. სწორეთ ეს საბუთი არის მართალი. ერთი, რომ მაშინ უბნის კომიტეტში ვიდრე რაიონულ კოლექტივში გაცილებით ნაკლები საქმეები იქნება. შეიძლება მდივანიც უჯამაგიროთ იშოვნოს კაცმა, მით უმეტეს მთელი დღის სამუშაო არ იქნება. ყოველ შემთხვევაში თუ დღეს რაიონის მდივანს ეძლევა სამასი მანეთი, უბნისას ვიშოვნით 150 მანეთათ. ეს არც ისე საზარალო იქნება, როგორც ზოგიერთებს გონიათ, თითოეულ უბანში ასობით არ არის პარტიის წევრი, რომ სამი თვეში არ გადაიხადეს საწევრო გადასახადი? და იმიტომ კი არა რომ არ ჰქონდა ან არ უნდოდა გადაეხადა არამედ იმიტომ, რომ საბურთალოდან ვერ წავიდა ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, ან არავინ მოაგონა და სხვა. მაგრამ როდესაც ყველა უბანში იქნება ასეთი ორგანიზაცია, სადაც საშუალება ექნება პარტიის წევრს გადაიხადოს საწევრო ფული, მაშინ ფული მეტი იქნება ჩვენს კასაში, ვიდრე დღეს. ეს კითხვა საჭიროა დაისვას პარტიულ საზოგადო კრებებზე სამილიციო უბნებში და რეზოლიუციები გაეგზავნოს თფილისის კომიტეტს, რომ მან მოაწყოს ასეთი ტიპის ორგანიზაციები თფილისში.

ან. ბუკია.

მუშათა ცხოვრება

მურღული. 23 აგვისტოს შესდგა ძანსულის მადაროებისა და მურღულის სპილენძის ჩამოსასხმელ ქარხნის მუშათა საერთო კრება. ამ კრებას დაესწრნენ ბათუმიდან გამოწვეული ამხანაგები: გ. კალაძე, კრასკიჩი და ლევაშკევიჩი. თავმჯდომარეთ აირჩიეს ნ. სულაბერიძე; მდივნათ გ. ნანეიშვილი. განსახილველი იყო ის მოთხოვნილებები, რომელიც 13 აგვისტოს მუშებმა წარუდგინეს მექარხნეებს და რაზედაც ცივი უარი მიიღეს. საქმე მიდგა გაფიცვაზე, მაგრამ სანამ გაფიცვამდის საჭიროთ სცნეს გამოეწვიათ ბათუმიდან ამხანაგები. ბათუმელი ამხანაგები გაეცნენ ამ მოთხოვნილებებს და კანონიერათ სცნეს. კრებაზე პირველად ილაპარაკა ამხ. ლევაშკევიჩმა და აღნიშნა, რომ სპილენძის ქარხნები რუსეთში ცოტაა და რომ ესეც შეჩერდეს, ეს იქნება ჩვენი თავის ღალატი, ვინაიდან ქარხანა, ომის მასალას ამზადებსო; აგრეთვე მან მიუთითა რომ რუსეთში ბევრი ქარხანა დაიხურა და აურიცხველი მუშები უმუშევრათ დარჩენ და ბოლოს მან დაარწმუნა მუშები რომ ყოველივე ზომებს მიიღებს რომ დაკმაყოფილებულ იქნას თქვენი კანონიერი მოთხოვნილებებით რაზედაც იქამდე დრო რომ ვიქონიოთ მოლაპარაკება ბათუმში უფროს ქარხნის აგენტ მატიევ ჩითანი, იქ გადავსინჯავთ საჭიროთ წიგნებს და თუ აღმოჩნდა რომ წარმოებას შეუძლია ატანა, მაშინ აუცილებლათ დაგიკმაყოფილებთ და თუ გაჯიუტდება და უარს იტყვის, მაშინ გადავიტანთ ცენტრალურ სამხედრო სამრეწველო კომიტეტში და აუცილებლათ მოგცემთ ყურადღებას. მცირე მსჯელობის შემდეგ მუშებმა უარყვეს გაფიცვა და დაავალეს ბათუმელი ამხანაგებს, რომ მიიღონ ყოველივე საშუალება, გაფიცვამდი იქნეს ჩვენი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული, ამის შემდეგ კრება დაიხურა.

შ. ლოფონიეხშვილი.

თფილისის რკინის გზის საქონლის სადგური. 25 აგვისტოს ნაძალადევის თეატრში მოხდა თფილისის საქონლის სადგურის მუშების საერთო კრება. თავმჯდომარეთ აირჩიეს ვალ. ხერაძე, მდივნათ ორმოცაძე. განსარჩევი იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება პროფ. ს. კომიტეტისა, წესიერების დაცვა, არჩევნები და განცხადებები.

პირველად მოხსენება გააკეთა ამხ. გრ. ცინცაძემ; მან განაცხადა, რომ სადგურზე მიიღეს კიდევ 30 ახალი მუშა, ამას გარდა კიდევ სამი კაცი, რომლებიც საგამომძიებლო კომისიაში უნდა აირჩიონ წესიერების დასაცავათ. შემდეგ ამისა ამხ. ცინცაძე შეეხო იმ მუშების მოქმედებას, რომლებიც ყალბი ბილეთებით სარგებლობენ. შემდეგ კრებამ პირველად გაარჩია 1915 წ. დათხოვნილ მუშა ა. მაჭარაძის თხოვნა. ის თხოულობდა შეცდომის პატიებას. კრებამ დაადგინა, ვინაიდან მაჭარაძემ აღიარა თავის დანაშაული და ამავე დროს დიდი ხნის დათხოვნილი და დასჯილია, მიღებულ იქმნას მუშათ. შემდეგ გაარჩია ალ. უგინწკარელის საქმე და ერთხმად დაადგინა დაითხოვონ სამუშაოდან და მისი მოქმედება გაზეთებში გამოაქვეყნონ. შემდეგ კრებამ დაადგინა: ვინაიდან მუშები სარგებლობენ ყალბი ბილეთებით და სხვა, ამიტომ თავიდან ასაცილებლად კრებამ მიანდო ადგილობრივ კომიტეტს შეიმუშავოს და გამოსცეს წესები, რომლებიც იქნება საწყობებში გამოკრული და ყველა მუშა უნდა ემორჩილებოდეს ასეთ წესებს. ამასთანავე იაკობ მურღულიას შესახებ, რომელსაც თავის ნებით დაუტოვებია სამუშაო ცამეტი დღის განმავლობაში და ეხლა განაცხადა. კრებამ დაადგინა: ვინაიდან მურღულია არ არის ზნეობრივად დაცემული და მასთან არის პატიოსანი მუშაც, იქნას მიღებული, როგორათაც სხვა ახალი მუშა და არა თავის ძველ ადგილას.

ხალჩანი.

პროვინციის ცხოვრება.

ხამტრედია. მოვიდა თუ არა ცნობა პეტროგრადიდან კორნილოვის შეთქმულობის შესახებ. მთელი ადგილობრივი რევოლიუციონური ორგანიზაციებიც მაშინვე შეუდგნენ მზადებას, რათა რეაქციასთან ბრძოლაში მზათ ყოფილიყვნენ. ამ მიზნით შეადგა რევოლიუციის დამცველი კომიტეტი, რომელშიაც შედიან რაიონული ადმ. კომ. ილია კოპალეიშვილი, რკ. გზ. ადმ. კომ. გრიშა ურუშაძე, მუშ. საბჭოდან კ. შენგელია ქ. სამტრ. ადმ. კომ. გიორგი დუნდუა, რკ. გზ. პოლკის როტ. კომიტ. ჯარისკაცი სიმონ ნინუა, 110 ზაპას. პოლკ. კომ. ნიკოლოზ კლიუჩნიკოვი, 220 დრუჟინის როტის კომ. ვასილ ბურავი, სასურსათო კომ. ვას. ახობაძე, სარაიონო კომისარი ვლადიმერ პაპავა, ქალაქის კომისარი ალექსანდრე დუნდუა, ს.-დ. პარტიიდან ივანე სტურუა, ს.-რ. პარტ. სოლომონ მიქელაძე, ს. ფ. გიორგი სიხარულიძე, ნ.-დ. პავლე ქეიშვილი, სულ 14 კაცი. ამ კომიტეტმა გამოყო თავის შემადგენლობიდან 3 კაცისაგან შემდგარი მფრინავი კომისია, რომელსაც დაავალა სასტიკი თვალ-ყურის დევნება არა საიმედო პირებისათვის და სასწრაფოდ ზომების მიღება რეაქციონერების საწინააღმდეგოდ რაიონში. ამავე კომიტეტის განკარგულებით დაინიშნა ტელეგრაფის აპარატზე ცენზურა. 31 მარიამობისთვეს მოწვეულ იქნა მიტინგი ადგილობრივ ჯარისკაცთა და მუშების. მუშათა საბჭოს თავმჯდომარემ გახსნა კრება. მიტინგმა აირჩია თავმჯდომარედ ლ. პაპავა. მიტინგის წინაშე წარსდგა მთელი რაიონის რევოლიუციონურ ორგანიზაციების წარმომადგენლები წამოთქვა სიტყვები მომენტზე. მიტინგს გააცნეს თფილისიდან მოსული დეპეშა, რომელსაც იძლეოდა ამხ. გეგეჭკორი კავკასიის ცენტრალურ რევოლიუციონურ კომიტეტის სახელით. ილაპარაკეს ორატორებმა. ყველა მოუწოდებდა შემსწრეთ რეაქციასთან ბრძოლისათვის დარაზმვას. მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია: სრული ნდობა რევოლიუციონურ მთავრობას და სასტიკი ბრძოლა რეაქციის საწინააღმდეგოთ. გაიგზავნა დეპეშები მთავრობის მ. ჯ.-კ. დ გ. დ. საბჭ. სახელზე, მასთან მოწვეულ იქნა. რევოლ. კომ. მიერ მიტინგები რაიონის საზოგადოებებში. კვირისთვის დანიშნეს წარმომადგენლები მიტინგებზე დასასწრებლად ჯარისკაცების თანხლებით.

ბუკხი.

წერილები რედაქციის მიმართ

მადლობას ვუცხადებთ მეორე ქვეითი დივიზიის ჯარის-კაცს გიორგი სალუქვაძეს, რომელმაც კეთილ ინება და თავის ამხანაგებთა შორის, ფრონტზე შეაგროვა 110 მან. და გამოგზავნა სოფელ ჩხარში (ოზურგეთის მაზრა) არსებულ წიგნთ საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ.

მასწ. ა. კახაძე.

უდროოდ გარდაცვლილი ძვირფას და საყვარელი დის მეტრას ხსოვნის აღსანიშნავად, გიგო ასათიანმა შემოსწირა ახალშენის სამკითხველოს 50 მან., რისთვისაც გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს მას.

ახალშენის სამკ. გამგეობა.

ბ—ნო მაქსიმე ლაგონია! თქვენ მე მრავალჯერ მომატყუელეთ, არც სასამართლოს განაჩენი და არც თქვენი შეპირება სისრულეში არ მოიყვანეთ, ამიტომ გიწვევთ სამედიატორო სასამართლოში. გაძლევთ ორი კვირის ვადას დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა. ჩემის მხრივ მედიატორებად ვასახელებ სიმონ სამკოჩაიშვილს და სილიბე დარჯანიას. სასამართლო უნდა შესდგეს ბათუმში. დღე, მოუდომელმა სასამართლომ გამოაშკარაოს, თუ რამდენად არა ადამიანურად მოიქეცით თქვენ.

ივლიტე მოისრაფიშვილი.

ენკენისთვეს მიმდინარე წლისა ჯუმათის ღვთის მშობლის ეკლესიაზე გადახდილ იქნება რვა წლის შესრულების გამო დღიდან გარდაცვალებისა, პანაშვიდი ამხ. ისიდორე ი. ჩხარტიშვილისა, სადაც გაიმართება მიტინგი და წარმოთქმულ იქნება სიტყვები. ვსთხოვთ ამხანაგებს გამოგზავნონ დელეგატები და თითოეულს დაესწრონ აღნიშნულ დღეს და მით პატივი სცენ ჩვენთვის დასჯილ ადამიანს.

ჯუმათის რაიონის ს.-დ. ორგანიზაციის მინდობილობით ბესარიონ რუხაძე.

მადლობას ვუხდით დასავლეთის ფრონტზე მყოფ ჯარის-კაცს კირილე ივანეს ძე კობერიძეს, რომელმაც ადგილობრივ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მოუწოდა დახმარება თავის მხრივ 4 მ. და დანარჩენი 36 მ. და 50 კ. შეგროვილი თავის ნაცნობ მეგობრებით შორის. აგრეთვე მადლობა ყველა იმათ, ვინც დახმარება გაუწია ჩვენს სამკითხველოს*).

გამგეობის თავ. მდ. კობერიძე.

მცირე განმარტება.

გაზეთ „ერთობის“ მე-23 აგვისტოს № შიქარით. საქველ. საზ. ბათუმის ოლქში მუშაობის შეფასებას ცდილა ვიღაც პ. ნარაკიძე. არსებითათ პასუხის გაცემას საჭიროთ არ ვცნობ **). მაგრამ ორი გარემოების განუმარტავათ დატოვება ყოვლად მოუხერხებელია.

1. ბ-ნი ნარაკიძე სწამებს ქარ. საქ. საზ—ბას, რომ სოფ. სარფში საქ. საზოგადოების მიერ გაგზავნილ ტანსაცმლებს და სხვა საჭირო ნივთებს „ურიადნიკები“ ურიგებდენ ხალხს, საქვ. საზ. გამგეობის მიერ უყურადღებოთ იყო მიტოვებული, ამით სარგებლობდენ „ურიადნიკები“ და სხვა პოლიციელები და ხალხისთვის უფასოთ დარიგებულ ნივთებს თავის ჯიბის სასარგებლოთ ყიდდენო. კატეგორიულათ ვაცხადებ, რომ ქარ. საქ. საზოგადოების მოქმედების დაწყებიდან დღემდის სარფის საზოგადოებაში სრულებით არავითარი ტანისამოსი არც თვითონ წაუღია დასარიგებლათ და არც გაუგზავნია ადგილობრივ ადმინისტრაციისათვის ხალხისთვის გადასაცემათ.

ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ ორი კვირის განმავლობაში თუ ამავე გაზეთის საშუალებით ბოდიში არ მოიხადეთ, უფლებას ვიტოვებ ცილისწამებისათვის სასამართლოში მიგცეთ.

2. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ხალხმა ბლომათ შეიძინა ფული ტრანის გზის მუშაობიდან და დახმარება არ ეჭირვებათ. ესეც შეცდარი ცნობაა. ხალხმა დაჰკარგა ყოველი მოძრავი ქონება (უმეტესობამ სახლებიც), რაც თვითონ შეიძინეს ან მემკვიდრეობით მამაპაპეული მიუღია. ასეთ ხალხმა თუ ორი გროში სამუშაო ქირა აიღო, ნუ თუ ეს მას უზრუნველჰყოფს?

წინეთ ოჯახისათვის საკმარისი სპილენძის ჭურჭლეულობას სოფლის მცხოვრები 30 მან. ყიდულობდა, ეხლა კი იმავე ჭურჭელს 300 მან. ვერ ყიდულობს; წყვილი ხარი წინეთ 100 მან. ღირდა, ეხლა 600—700 მ. ღირს; თითო ძროხა წინეთ 30 მან. ღირდა, ეხლა 450 მან. სასოფლო სამეურნეო იარაღები ძველად რომ 50 მან. იყიდებოდა დღეს 500 მან. ღირს და საყოველთაოდ არ იშოვება. ასეთ სიძვირის ჟამს სოფლის ხალხს აკლია თითქმის ყოველივე, რაც კი მისი სარსებო წყაროა და ამგვარ პირობებში ხალხის ქონებრივი კეთილდღეობის პრესის საშუალებით მტკიცება ხალხის ინტერესების ღალატს ნიშნავს

ქარ. საქ. საზოგად. ბათუმის განყ.

მდივანი: ქ. კობახიძე.

---

*) სია არ იბეჭდება.

**) ვისაც სურვილი აქვს გაიგოს თუ რა გააკეთა ქარ. საქ. საზ. ბათუმის ოლქში, იგი ადვილათ ნახავს გაკეთებულს, რადგან განაკეთები თვალსაჩინოა და შესამჩნევიც. ვინაც მხოლოდ კორესპონდენციის წერის პროცესი აინტერესებს და არა მოქმედების შეფასება, იმათი საპასუხოდ წერილის წერა დროის დაკარგვაა. ქ. ქ—ძე.

ექიმი ივანე თიკანაძე

იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

საოლქო კომიტეტის გამოცემანი.

(საწყობი კომიტეტის ბიუროში, გოლოვინის პროსპ. № 12)

1. ს. დ. პ. პროგრამა ქართულად	10 კ.
2. ს. დ. პ. პროგრამა რუსულად	10 „
3. ს. დ. პროგრამა სომხურად	10 „
4. ს. დ. პროგრამა თათრულად	10 „
5. მუნიციპალური პროგრამა რუს.	5 „
6. მუნიციპალური პროგრამა ქართ.	5 „
7. ძირს სოც. დემ. ბრაკესა რუს.	20 „
8. სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა რუსულად	20 „
9. [illegible] წიგნაკი ქართულად	20 „
10. ოთხი ძმა ქართულად	35 „
11. კომუნისტური მანიფესტი რუს.	20 „
12. კომუნისტური მანიფესტი ქარ.	25 „
13. დემოკრატიული რესპუბლიკა ქარ.	25 „
14. დამფუძნებელი კრება რუსულ.	25 „
15. ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართ.	30 „
16. კრიტიკა აგრარული პროგრამისა პ. მასლოვისა, რუს. ენაზე ფასი	15 „
17. ოქმები, მე-6 საოლქო თავყრილობისა (კონფერენციისა) რ. ს.-დ. მ. პ. ქართ. ენაზე ფასი	25 „
18. იგივე ოქმები რუსულ ენაზე ფასი	20 „
19. დროებითი წესები ქალაქის ხაბ. ხმოს. არჩევნებისა ქართ. ფასი	10 „
20. რა უნდათ სოციალ-დემოკრ. რუს.	20 „
21. რა უყოთ მიწას პ. მასლოვისა, რუს.	

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. საფრანგეთის ისტ. 1848 წ. ნ. ჟორდანიასი.

ამასთანავე ვაცხადებთ: პროვინციელ ორგანიზაციებს დღეითგანვე, რომლებიც 50 ცალ ნაკლებს არ გამოიწერს ოცი პროცენტი იქ სადაც ბაგაჟით არ შეიძლება გაგზავნა, არამედ ფოსტით უნდა იქნას გაგზავნილი, პროცენტი ეთმობათ 15 კ. მანეთზე. ფული უნდა იქნას წინადაწინ გამოგზავნილი, ფასდადებით ბროშურები არავის გაეგზავნება.

ამხანაგებო! გამოიწერეთ ბროშურები, გაავრცელეთ ხალხში, რომ ამით საშუალება მოგვეცეს სხვადასხვა ახალი ბროშურები გამოვცეთ და გავავრცელოთ ხალხში.

ფული და წერილები მიიღება შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Бюро областного комитета закавк. организацiи Р. С. Д. Р. П. Головинскiй № 12.

ექიმის თანაშემწე

ვანო საათაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს საღ. 6—8 საათ. ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება, (სისხლის ნაკლებით, ნერვებით ავადმყოფთ, სიფილისიანთ და სხ.) ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხვ. მისამართი: ფესანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი).

(12—10)

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავათმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible] ტელეფ. 15—00.

ექიმი ა. დ. პეპელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოთიბით 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულ და ბათმანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტ. „ნოის“ პირდაპირ.

ქუთაისი

ექიმ გ. ი. გოგიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავადმყოფთათვის, ავადმყოფები მიიღებიან დილის 9—12 საათ, და საღ. 6—8 ს. საათამდე

ექიმის თანაშემწე

ვლ. ი. თავართქილაძე

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი დ ელექტრიზაცია. ტექნიკური ქუჩა, № 4

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზინის ქუჩა, № 19.

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-დღიურ გაზეთ

„სოციალ-დემოკრატ“-ზე

გაზეთის ფასი: მთელი წლით—15 მან., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით—4 მ. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Кутаисъ, редакцiя „Соцiал-демократъ“, Тутку Гварамiя. სხვა ადრესით გამოგზავ. ფულს რედაქცია ვერ მიიღებს

საჯარო ვაჭრობა

თფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ამა წლის 12 სექტემბერს, შუადღის 12 საათზე გამგეობის თანადასწრებით მოხდება

საჯარო ვაჭრობა

ავლაბრისა და ორხევის სათიბი, სახნავი და საბალახო ადგილების იჯარით გასაცემათ.

ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება სამეცადინო საათების დროს პირველ განყოფილების კანცელარიაში სამიწათ-გამგებლო სტოლზე (სერგიევის ქ. № 4) 3—1

ბუხგალტერიის და კონტორის ცოდნათა კურსები

პირველ თფილისის კომერციულ სასწავლებელთან ორივე სქესის პირთათვის. მეცადინეობა დაიწყება 10 სექტემბრიდან, გათავდება 20 დეკემბერს. თხოვნები მიიღება სასწავლებლის კანცელარიაში. (15—14)

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა გაზაფხულის შესახვევი № 1.